



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

საქმე „გოგითძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი No 36862/05)

საბოლოო განცხადება

08/09/2014

სტრასბურგი 2015 წლის 12 მაისი

ეს გადაწყვეტილება საბოლოო განცხადება კონვენციის 44-ე მუხლის 2-ე პარაგრაფში მითითებულ შემთხვევაში. წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა, რედაქციულ შესწორებას დაექვემდებაროს¹.



¹ მთარგმნელის შენიშვნა: გადაწყვეტილების ინგლისურ დედანში საქართველოს კანონმდებლობის გარკვეული მუხლები არასწორად არის მითითებული. იხილეთ სქოლიო ქვევით.

საქმეზე გოგითიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია) პალატის სხდომაზე შემდეგი კოლეგიური შემადგენლობით:

სხდომის თავმჯდომარე: პაივი ჰირველა,

მოსამართლეები:

ჯორჯ ნიკოლაუ,

ლედი ბიანკუ,

ნონა წოწორია,

პოლ მაჰონი,

კრშიშტოფ ვოიტიჩევი,

ფარის ვეჰაბოვიჩი

და სექციის განმწესრიგებელი: ფრანსუა ელენ-პასო,

2015 წლის 14 აპრილის დახურული თათბირის შემდეგ

გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული:

პროცედურა

1. საქმის წარმოება დაიწყო საქართველოს ოთხი მოქალაქის, ბ-ნი სერგო გოგითიძის ("პირველი მომჩივანი"), ბ-ნი ანზორ გოგითიძის ("მეორე მომჩივანი"), ბ-ნი თენგიზ გოგითიძის ("მესამე მომჩივანი") და ბ-ნი ალექსანდრე გოგითიძის მიერ ("მეოთხე მომჩივანი") ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს წინააღმდეგ 2005 წლის 4 ივლისს სასამართლოში შეტანილი საჩივრის (No 36862/05) საფუძველზე.

2. მომჩივნებს წარმოადგენდა ადვოკატი, ბ-ნი ვ. კობახიძე, რომელიც იურიდიული საქმიანობას ახორციელებს თბილისში. საქართველოს მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა სახელწმიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი ლ. მესხორაძე,

3. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს სასამართლოს მიერ მათ მიმართ დადგენილი ქონების

ჩამორთმევით კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი დაირღვა.

4. 2009 წლის 9 ნოემბერს მთავრობას ეცნობა საჩივრის შესახებ.

5. 2010 წლის 22 ივნისს სასამართლოსთვის პირველად გახდა ცნობილი, რომ მესამე მომჩივანი ამ საჩივრის შეტანამდე, 2005 წლის 7 მაისს, გარდაცვლილიყო.

6. 2015 წლის 14 აპრილს სასამართლომ დაიწყო საქმის არსებითი განხილვა.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

7. პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნები დაიბადნენ 1951, 1973, 1940 და 1978 წლებში. მეორე და მეოთხე მომჩივნები არიან პირველი მომჩივნის შვილები, ხოლო მესამე მომჩივანი არის პირველი მომჩივნის ძმა. პირველი, მეორე და მეოთხე მომჩივნები ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში.

A. ქონების ჩამორთმევის შესახებ სარჩელის აღძვრა

8. 2004 წელს, 2003 წლის ნოემბრის ე.წ. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ახალი პოლიტიკური ძალა მოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ("აარ") სათავეში. (იხ. საქმე "საქართველოს ლეიბორისტული პარტია საქართველოს წინააღმდეგ", No 9103/04, პუნქტი 11-13-ე პუნქტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო) 2008).

9. 2004 წლის 25 აგვისტოს პირველ მომჩივანს, რომელიც ადრე აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის და კონტროლის პალატის თავჯდომარის თანამდებობებს იკავებდა, ბრალი წაეყენა სხვა ბრალდებათა შორის ასევე ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და გამოძალვაში.

10. 2004 წლის 26 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ სარჩელი აღძრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში მომჩივნებისთვის უკანონოდ და დაუსაბუთებლად მოპოვებული

ქონების ჩამორთმევის მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 37-ე პრიმა ერთი მუხლის 1-ლი ნაწილის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (ასკ) 21-ე პრიმა 5 და პრიმა 6 მუხლების² შესაბამისად; აღნიშნული საკანონმდებლო ნორმები შემოღებულ იქნა 2004 წლის 13 თებერვალს.

11. პროკურორმა განაცხადა, რომ დასაბუთებული ეჭვი ჰქონდა, პირველი მომჩივნის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის რანგში 1994 და 1997 წლებში, და ასევე კონტროლის პალატის თავმჯდომარის რანგში 1997 ნოემბრიდან 2004 წლის მასამდე მიღებული ხელფასი საკმარისი ვერ იქნებოდა, იმავე პერიოდში წარმოშობილი ქონება თავად მას, მის შვილებს ანდა მის ძმას შეეძინათ.

12. პროკურორმა სასარჩელო განცხადებას დაურთო მრავალი მტკიცებულება (23 დოკუმენტი), რომელიც მიუთითებდა, რომ, ერთი მხრივ, პირველმა მომჩივანმა აჭარის მთავრობაში დაკავებულ ორ თანამდებობაზე ხელფასის სახით 1 644 და 6 023 ევრო მიიღო, ხოლო მეორე მხრივ, მისი და სხვა მომჩივნების მიერ შეძენილი ქონების ღირებულება დაახლოებით 450 000 ევროს (1 053 000 ლარს) შეადგენდა. ეს უკანასკნელი ციფრი ემყარებოდა ორი დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნას, რომლებმაც 2004 წლის 20 აგვისტოს სადავო ქონება შეაფასეს.

13. პროკურორი შესაბამისად ითხოვდა, რომ აჭარის უმაღლეს სასამართლოს ქვემოთ მითითებული ქონების ჩამორთმევის და სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიეღო.

14. პირველი მომჩივნის ქონება შეადგენდა შემდეგს:

- (a) ქ. ბათუმში, მაზნიაშვილის 54-ში მდებარე სახლი;
- (b) ქ. ბათუმში, გრიბოედოვის 13-ში მდებარე სახლი;
- (c) ქ. ბათუმში, გორგასლის 60-ში მდებარე სახლის პირველი სართული;
- (d) ქ. ქობულეთში მდებარე სასტუმრო 'სანაპიროს' წილი კაპიტალში;
- (e) მერსედესის მარკის ავტომობილი;
- (f) ქ. ქობულეთში, ნინოშვილის ქუჩა 1-ში მდებარე სახლი.

15. მეორე მომჩივნის ქონება შეადგენდა შემდეგს:

- (g) ქ. ქობულეთში, 9 აპრილის 32-ში მდებარე ორი ოჯახური ტიპის სასტუმრო.

² მთარგმნელის შენიშვნა: აქ და ქვემოთ ინგლისურ დედაწილში უზუსტობა იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლების მითითებასთან დაკავშირებით.

16. მესამე მომჩივნის ქონება შეადგენდა შემდეგს:
 (h) ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის 245-ში მდებარე სახლი.
 17. მეოთხე მომჩივნის ქონება შეადგენდა:
 (i) ქ. ბათუმში, გორგასლის 58ბ-ში მდებარე სახლი;
 (j) ქ. ბათუმში გუდიაშვილის 4-6 მდებარე სახლი;
 (k) ქ. ბათუმში აბაშიძის 20-ზ-ში მდებარე სახლი;
 (l) გენერალ აბაშიძის ჩიხის 6-ში მდებარე სახლი;
 (m) ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის 186-ში მდებარე სახლი.

B. ქონების ჩამორთმევის შესახებ საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

18. 2004 წლის 30 აგვისტოს აჭარის უმაღლესმა სასამართლომ დააკმაყოფილა საქმის არსებითად განხილვის შესახებ პროკურორის შუამდგომლობა. სასამართლომ პროკურორის სასარჩელო განცხადება, საქმეზე თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად, გადაუგზავნა მომჩივნებს, რათა შესაგებელი წარმოედგინათ, და 2004 წლის 7 სექტემბერს დანიშნულ საქმის ზეპირ მოსმენაზე გამოცხადებულიყვნენ.

19. საფოსტო გზავნილის ჩაბარების ქვითარი ადასტურებს, რომ აჭარის უმაღლესი სასამართლოს უწყებები მომჩივნების სახლის მისამართებზე ჩაბარდა, თუმცა მხოლოდ მეორე მომჩივნის ადვოკატმა წარადგინა შესაგებელი 2004 წლის 6 სექტემბერს.

20. მეორე მომჩივანმა განაცხადა, რომ ზემოთ "ხ" ქვეპუნქტში მითითებული ქონება სინამდვილეში მას და არა პირველ მომჩივანს ეკუთვნოდა. ამის დასადასტურებლად მან წარმოადგინა 1997 წლის 2 დეკემბრით დათარიღებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მასსა და კერძო პირ გ.ვ.-ს შორის, აგრეთვე დოკუმენტი მიწის კადასტრიდან. იგი აცხადებდა, რომ ქონება 10 174 ევროდ შეიძინა. ამ ქონების შეძენაში მას დაეხმარა სიმამრი, რომელთან ერთად იგი და მისი მეუღლე ქორწინების შემდეგ ცხოვრობდნენ. მეორე მომჩივანმა წარმოადგინა ცნობა ბანკიდან მისი სიმამრის მიერ აღებული სესხის შესახებ; ასევე წარმოადგინა მან სხვადასხვა მოწმის ჩვენებები.

21. მეორე მომჩივანმა ამასთანავე განმარტა, რომ "f" ქვეპუნქტში მითითებული ქონება ბ-ნ ნ.უ.-ს ეკუთვნოდა, რომელიც პირველი მომჩივნის არც ახლო ნათესავი და არც მასთან დაკავშირებული პირი იყო. შესაბამისად, ეს ქონება არ უნდა

ჩამოერთვათ.

22. "გ" ქვეპუნქტში მითითებულ ქონებასთან დაკავშირებით, მეორე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ პირველ მომჩივანს მის შეძენასა და გარემონტებაში მონაწილეობა არ მიუღია, და რომ იგი, მეორე მომჩივანი ამ ქონების ერთადერთი მესაკუთრე იყო. მეორე მომჩივანმა ქონება შეიძინა ერთი ქალბატონისგან 4 069 ევროდ საკუთარი ნათლიის ვ.მ.-ს დახმარებით, რომელმაც, მომჩივნის მტკიცებით, 50 000 აშშ დოლარი ობიექტზე სარემონტო სამუშაოების განსახორციელებლად ასესხა.

23. შედეგად, მეორე მომჩივანი მოითხოვდა, რომ "ხ", "f" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ქონება ჩამორთმევას დაქვემდებარებული სიიდან ამოეღოთ, და სასამართლოს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მხედველობაში მიეღო, რომელთა მიხედვით ხსენებული ქონება უკანონოდ მოპოვებული არ იყო.

24. ვინაიდან პირველმა, მესამე და მეოთხე მომჩივნებმა წერილობითი შესაგებელი არ წამოადგინეს, და ისინი არც 2004 წლის 7 სექტემბერს აჭარის უმაღლეს სასამართლოში გამოცხადნენ, სასამართლომ გადადო საქმის განხილვა 2004 წლის 9 სექტემბრისთვის. შესაბამისი სასამართლო უწყებები კვლავ ჩაბარდა ხსენებული მომჩივნების საცხოვრებელ მისამართებზე, მაგრამ არცერთი მათგანი არც პირადად და არც ადვოკატის მეშვეობით ამჯერადაც გამოცხადებულა.

25. 2004 წლის 9 სექტემბერს აჭარის უმაღლესმა სასამართლომ დაიწყო საქმის მოსმენა, რომელსაც პირველი, მესამე და მეოთხე მომჩივნები და მათი ადვოკატები საპატიო მიზეზის შეტყობინების გარეშე არ ესწრებოდნენ. სხდომას ესწრებოდა მეორე მომჩივნის ადვოკატი, რომელმაც დამატებით განაცხადა, რომ "d" ქვეპუნქტში მითითებული ქონება ასევე პირადად მას ეკუთვნოდა, და იგი ამ ქონებას სახელმწიფოს საჩუქრად გადასცემდა. შედეგად, აჭარის უმაღლესმა სასამართლომ მოპასუხის სახელი საქმის ამ ნაწილში შეცვალა და მას სადავო ქონების მეპატრონე უწოდა. მეორე მომჩივანმა ასევე განმარტა, რომ მან "გ" პუნქტში აღნიშნული ქონება შეიძინა და შეაკეთა ნათლიისგან ნასესხები ფულის გარდა ასევე საკუთარი ხელფასით, რომელიც მას როგორც კომპანიის დირექტორს ჰქონდა საწარმოში, რომელშიც საერთო წილის მეოთხედი ეკუთვნოდა. ამ კომპანიის დირექტორთა საბჭოს 2004 წლის 1-ლი ივლისის კრების ოქმის თანახმად კომპანიის მიერ მიღებული მოგება 17 987 ევროს შეადგენდა.

26. 2004 წლის 10 სექტემბერს აჭარის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება პირველი, მესამე და მეოთხე მომჩივნების დაუსწრებლად, რომლებსაც ორჯერ ეცნობათ სასამართლო სხდომის შესახებ, მაგრამ საპატიო მიზეზის მითითების გარეშე არ გამოცხადნენ (ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის (ასკ) 26-ე პრიმა 1 მუხლის მე-2 ნაწილი).

27. ამრიგად, აჭარის უმაღლესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება პირველი მომჩივნის "a", "c" და "e" ქვეპუნქტებში მითითებული ქონების, მეორე მომჩივნის "d" და "g" ქვეპუნქტებში მითითებული ქონების და მეოთხე მომჩივნის "i" და "m" ქვეპუნქტებში მითითებული ქონების ჩამორთმევის შესახებ. სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 1 644 და 6 023 ევრო, რომელიც პირველმა მომჩივანმა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის და კონტროლის პალატის თავმჯდომარის რანგში გამოიმუშავა, აღნიშნული ქონების შესაძენად საკმარისი ვერ იქნებოდა, და ასევე ის გარემოება, რომ სხვა მომჩივნებსაც საკმარისი თანხები არ ჰქონდათ გამომუშავებული. პირველი მომჩივნის მიერ მიღებული ხელფასი საკმარისი იყო მხოლოდ ოთხსულიანი ოჯახის სარჩენად. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებმა, განსაკუთრებით კი სამმა მომჩივანმა, რომლებიც სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადნენ, მტკიცების ტვირთი ვერ იკისრეს და პროკურორის სასარჩელო მოთხოვნა ვერ გააქარწყლეს.

28. ზემოხსენებულ "g" ქვეპუნქტში მითითებულ ქონებასთან დაკავშირებით, აჭარის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მეორე მომჩივანმა იმ ქონების შესაძენად დახარჯული ფულის კანონიერი წარმოშობის საბუთი ვერ წარმოადგინა, რომელიც მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ ოთხ საოჯახო ტიპის სასტუმროს შეადგენდა, და რომელიც დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ სულ მცირე 94 000 ევროდ იყო შეფასებული.

29. აჭარის უმაღლესმა სასამართლომ ასევე დაადგინა რომ "b" ქვეპუნქტში მითითებული ქონება მეორე მომჩივანს, ხოლო "f" ქვეპუნქტში მითითებული - მესამე მომჩივანს ეკუთვნოდა. პროკურორის სარჩელი ამ ორ ქონებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა: პირველ ქონებასთან მიმართებით სასამართლომ გაიზიარა მეორე მომჩივნის არგუმენტი, რომ აღნიშნული ქონება კანონიერად იყო შეძენილი.

30. მესამე მომჩივნის "h" პუნქტში მითითებულ ქონებასთან დაკავშირებით დადგინდა, რომ ეს საგვარეულო სახლი იყო და

პირველი მომჩივნის საქმიანობას არ უკავშირდებოდა. მაგრამ, ვინაიდან ამ ქონებას სარემონტო სამუშაოები იმ პერიოდში ჩაუტარდა, როდესაც პირველ მომჩივანს სახელმწიფო თანამდებობა ეკავა, და ამ ქონების ფასმა ოფიციალური შეფასებით 24 418 ევრო შეადგინა, მესამე მომჩივანს დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ 10 174 ევროს კომპენსაციის გადახდა.

C. ქონების ჩამორთმევის შესახებ საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში

31. ოთხივე მომჩივანმა, რომლებსაც წარმოადგენდა ადვოკატი, და ასევე პროკურორმა გაასაჩივრეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2004 წლის 10 სექტემბერს.

32. მომჩივნები მოითხოვდნენ, რომ ქონების ჩამორთმევის წარმოება პირველი მომჩივნის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის წარმოების დასრულებამდე შეჩერებულიყო. მომჩივნები ასევე ჩიოდნენ იმის გამო, რომ მტკიცების ტვირთი მათ დააწვათ. პირველი, მესამე და მეოთხე მომჩივნები ასევე ჩიოდნენ, რომ საკუთარი არგუმენტების წარდგენის საშუალება პირველი ინსტანციის სასამართლოში არ მიეცათ. პირველმა მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპი მის მიმართ ქონების ჩამორთმევის საქმის წარმოებაში დარღვეული იყო.

33. 2004 წლის 22 ოქტომბერს პირველი მომჩივნის მეუღლემ საქართველოს უზენაეს სასამართლოს განუცხადა, რომ იგი და მისი შვილი, მეოთხე მომჩივანი, ზემოთ "m" ქვეპუნქტში მითითებული ქონების მესაკუთრენი იყვნენ. ამ ქალბატონმა განმარტა, რომ რუსეთის მოქალაქე იყო, და საკუთარ და-ძმებთან შეთანხმებით ქ. სმოლენსკში სახლი გაყიდა, რათა ქობულეთში ქონება შეეძინა, სადაც მისი რუსი ნათესავები ზაფხულში დასვენებას შესძლებდნენ.

34. 2004 წლის 3 ნოემბერს მესამე პირმა, ს. ჭიჭინაძემ მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით, რომელშიც იგი ამტკიცებდა, რომ აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოთ "a" ქვეპუნქტში მითითებულ ქონებასთან მიმართებით უკანონო იყო, რადგან ეს ქონება ადრე მას ეკუთვნოდა და ამჟამად ამ ქონებაზე მასსა და პირველ

მომჩივანს შორის დავა მიმდინარეობდა. 2004 წლის 15 დეკემბერს ჭიჭინაძემ საქართველოს უზენაეს სასამართლოს გამოუგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 14 ნოემბრის განჩინება, რომელიც სადავო ქონების მესაკუთრედ მას აღიარებდა. ბ-ნი ჭიჭინაძე მოითხოვდა, რომ მისი ქონება პროკურორის მიერ წარდგენილი ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების სიიდან ამოეღოთ (დამატებით იხილეთ საქმე ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ, No 18156/05, პუნქტი 13, 2010 წლის 27 მაისი).

35. სასამართლო სხდომაზე ოთხივე მომჩივნის ადვოკატმა განაცხადა, რომ პირველი, მესამე და მეოთხე მომჩივნის საქმის განხილვა ხელახალი განხილვისთვის ქვედა ინსტანციის სასამართლოს უნდა დაბრუნებოდა, რადგან ამ სამმა პირმა პირველი ინსტანციის პროცესზე დასწრება ვერ შესძლო. ადვოკატმა ასევე განაცხადა, რომ მეორე მომჩივნის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება მხედველობაში სათანადოდ მიღებული არ ყოფილა.

36. 2005 წლის 17 იანვარს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც "a" ქვეპუნქტში მითითებულ ქონებას, ანუ ბათუმში, მაზნიაშვილის 54-ში მდებარე სახლს ეხებოდა, რადგან ეს ქონება ბ-ნ ს. ჭიჭინაძის საკუთრებად სცნო (დამატებით იხილეთ ჭიჭინაძის საქმე მითითებული ზემოთ 16-17 პუნქტებში). სასამართლომ დანარჩენ ნაწილში გაიზიარა აჭარის უმაღლესი სასამართლოს მოტივაცია, კერძოდ ის, რომ პირველი მომჩივნის შემოსავალი საკმარისი არ იყო, მას და მისი ოჯახის წევრებს სადავო ქონება შეეძინათ, და ისიც, რომ დანარჩენი მომჩივნების შემოსავლები ამისთვის ასევე არასაკმარისი იყო. პირველი მომჩივნის მეუღლის არგუმენტთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრში "m" ქვეპუნქტში მითითებული ქონების მესაკუთრედ მხოლოდ მეოთხე მომჩივანი იყო დარეგისტრირებული.

D. საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოება

37. 2004 წლის 6 დეკემბერს პირველმა მომჩივანმა შეიტანა კონსტიტუციური სარჩელი. იგი ამტკიცებდა, რომ სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 37-ე პრიმა 1 მუხლის 1-ლი ნაწილი და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (ასკ) 21-ე პრიმა 5 და პრიმა 6 მუხლები, რომლებიც 2004 წლის 13 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად იყო მიღებული, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა), 21-ე (საკუთრების დაცვა), მე-40 (უდანაშაულობის პრეზუმცია) მუხლებთან და 42-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებთან (სასჯელი კანონის საფუძველზე და სისხლის სამართლის კანონის უკუქცევითი ძალის აკრძალვა) წინააღმდეგობაში მოდიოდა.

38. თავის კონსტიტუციურ სარჩელში პირველი მომჩივანი ძირითადად იმეორებდა არგუმენტაციას, რომელიც მან საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარადგინა. კერძოდ, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი და მისი ოჯახის წევრების ქონების ჩამორთმევა მის მიმართ სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის გარეშე სისხლისსამართლებრივ სასჯელს უტოლდებოდა, და ასევე იმას, რომ მტკიცების ტვირთი, ანუ სადავო ქონების კანონიერი წარმოშობის დასაბუთება, მას არ უნდა დაკისრებოდა. მომჩივანი ასევე ამტკიცებდა, რომ ქონების ჩამორთმევა ამ გარემოებებში კორუფციის ბრალდებაში მის უდანაშაულობის პრეზუმციას არღვევდა. პირველი მომჩივანი ასევე ამტკიცებდა, რომ მან და მისმა ოჯახმა ქონება 2004 წლის 13 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე დიდი ხნით ადრე შეიძინა, და შესაბამისად კანონის ამ დებულებების მის მიმართ უკუქცევითი ძალით გამოყენება არაკონსტიტუციური იყო. ამ საფუძველით, იგი ამტკიცებდა, რომ სსსკ-ს და ასკ-ს სადავო დებულებებით გათვალისწინებული ქონების ჩამორთმევის წარმოება უკანონო იყო და კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების დაცვის უფლებას არღვევდა.

39. კონსტიტუციურმა სასამართლომ მხარეთა არგუმენტების, სამართლის სხვადასხვა ექსპერტისა და მოწმის ჩვენებების განხილვის შემდეგ, 2005 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა პირველი მომჩივნის სარჩელი, როგორც დაუსაბუთებელი, შემდეგი მოტივაციის გამო.

40. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის საკუთრების უფლების დამცავი დებულება (კონსტიტუციის 21-ე მუხლი), მსგავსად კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლისა, ქონების ჩამორთმევის შესაძლებლობას არ გამოორიცხავს, თუ ასეთი ზომა მართლზომიერია და

საზოგადოებრივ ინტერესსა და თანაზომიერების პრინციპს შეესაბამება. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კონსტიტუციით მხოლოდ კანონიერი გზით მოპოვებული ქონება არის დაცული. პირველი მომჩივნის საქმეში არსებობდა ლეგიტიმური ეჭვი ქონების არაკანონიერი წარმოშობის შესახებ, ეჭვი, რომელიც მომჩივანმა და მისმა ოჯახის წევრებმა სასამართლო წარმოებისას ვერ გააქარწყლეს.

41. საკონსტიტუციო სასამართლომ ამასთან აღნიშნა, რომ სსსკ-ის 37-ე პრიმა 1 მუხლის 1-ლი ნაწილით და ასკ-ის 21-ე პრიმა 5 და პრიმა 6 მუხლებით გათვალისწინებული ქონების ჩამორთმევის წარმოება სისხლის სამართლის წარმოებასთან არ უნდა გაიგივდეს, რადგან აქ საქმე სისხლის სამართლებრივი ბრალის დადგენასთან არ გვაქვს; პირიქით, აქ საქმე გვაქვს წმინდა სამოქალაქო დავასთან სახელმწიფოს, რომელსაც პროკურორი წარმოადგენს, და კერძო პირს შორის. ვინაიდან ამ სამართალწარმოებას "სამოქალაქო" ხასიათი ჰქონდა, დასაშვებია იყო, რომ მტკიცების ტვირთი საქმის წარმოებისას მოპასუხეს, მეორე მომჩივანს დაკისროდა. საკონსტიტუციო სასამართლომ, მიუთითა რა შედარებით სამართალში გაკეთებულ კვლევაზე და ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეებზე "რაიმონდო იტალიის წინააღმდეგ" (1994 წლის 22 თებერვალი, 16-20-ე პუნქტები, სერია A No281-A) და "აგოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" (1986 წლის 24 ოქტომბერი პ. 33-42-ე პუნქტები, სერია A No108) აღნიშნა, რომ ამგვარი სამოქალაქო მექანიზმი, როდესაც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლების და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა ხდება, რიგი დასავლური დემოკრატიებისთვის, მათ შორის იტალიის, გაერთიანებული სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, უცხო არ არის.

42. 2004 წლის 13 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებით მიღებული ქონების ჩამორთმევის ადმინისტრაციული წარმოების დებულებების უკუქცევითი ძალით გამოყენების საკითხთან, და მეორე მომჩივნის უდანაშაულობის პრეზუმციის დაცვასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან აღნიშნული საქმის წარმოება "სამოქალაქო" და არა "სისხლისსამართლებრივი" ხასიათის იყო, სისხლისსამართლებრივი დევნისგან ხსენებული დაცვის გარანტიის პრინციპი გამოყენებული ვერ იქნებოდა. ამასთანავე, 2004 წლის 13 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებს არ

შემოუტანია კანონმდებლობაში ახალი ცნება, არამედ ამით არსებული ზომა, რომელიც მიზნად საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციასა და აღმოფხვრას ისახავდა, ახლებურად, უფრო ეფექტურად დარეგულირდა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო დაეყრდნო 1997 წლის საქართველოს კანონს "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", რომელიც ყველა თანამდებობის პირის, მათი ოჯახის წევრების და ახლო ნათესავების ქონების არა მარტო დეკლარირებას, არამედ ამ ქონების კანონიერი წარმოშობის დასაბუთებას ითხოვდა.

43. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2004 წლის 13 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებები, უდაოდ, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურებოდა, და, რომ ქვეყნის შიდა სასამართლოების მიერ ქონების ჩამორთმევის საქმის წარმოებაში თანაზომიერებისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპები ასევე დაცული იყო.

II. შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტები და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა

A. 1997 წლის საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებდა საქმისთვის აქტუალურ დროს

44. 1997 წლის 17 ოქტომბერს კანონი "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" მიღებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომელიც მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტია, საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციისა და აღმოფხვრის პრინციპებისა და მეთოდების განსაზღვრისათვის.

45. კანონის პირველი მუხლი ადგენდა, რომ მისი ძირითადი მიზანი კორუფციის შემთხვევების პრევენცია, გამოაშკარავება და აღკვეთა, ასევე კორუმპირებული თანამდებობის პირების პასუხისგებაში მიცემა, იყო.

46. კანონის მე-3 მუხლით "კორუფცია საჯარო სამსახურში" განმარტა, როგორც თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით. იგივე დებულება განმარტავდა "კორუფციულ სამართალდარღვევას" როგორც ქმედებას, რომელიც კორუფციის ნიშნებს შეიცავს, და, რომლისთვის კანონი დისციპლინურ, ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. კანონის მე-4 მუხლი განმარტავდა, თანამდებობის პირის "ოჯახის წევრად" და "ახლო ნათესავად" ვინ ჩაითვლებოდა, რაც ასევე დაძმებს, შვილებსა და მშობლებს მოიცავდა.

47. კანონის მეოთხე თავი (მე-14 და მე-19 მუხლები) ავალდებულებდა თანამდებობის პირს, ქონების დეკლარაცია ყოველწლიურად 1-ლი აპრილიდან 30 აპრილის პერიოდში წარედგინა. დეკლარაციაში უნდა შესულიყო თანამდებობის პირის პირად და მისი "ოჯახის წევრების" და "ახლო ნათესავების" საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი, ამ ქონების ფაქტიური საბაზრო ღირებულება და ასევე ინფორმაცია ამ ქონების წარმოშობის შესახებ. საჯარო მოხელის მიერ წარდგენილი დეკლარაცია გახდა საჯარო ინფორმაცია.

48. კანონის მე-20 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, კორუფციული სამართალდარღვევა ან კანონის მოთხოვნების დარღვევა იწვევდა სისხლის ან ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. თუ ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დგებოდა, მაშინ უნდა გამოყენებულიყო დისციპლინური ზომა, როგორც სამსახურიდან გათავისუფლება არის.

B. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უკანონოდ მოპოვებული ქონების ან დაუსაბუთებელი მატერიალური სიკეთის ჩამორთმევის შესახებ იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებდა საქმისთვის აქტუალურ დროს

49. 2004 წლის 13 თებერვალს მიღებულ იქნა ორი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისკენ იყო მიმართული, და განსაკუთრებით ეკონომიკურ და საჯარო

სამსახურში ჩადენილ დანაშაულებს ეხებოდა. ერთ-ერთი ცვლილებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემოვიდა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი (იხ. საქმე „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“, No 9043/05, პუნქტი 49, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2014 ამონაწერი), ხოლო მეორე ცვლილებით, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შევიდა, დარეგულირდა უკანონოდ მოპოვებული ქონების ჩამორთმევის მექანიზმი.

50. 2004 წლის 13 თებერვლის მეორე ცვლილების შედეგად საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებდა ქონების ჩამორთმევის ორ წარმოებას: "ქონების სისხლისსამართლებრივ ჩამორთმევას" და "ქონების ადმინისტრაციულ ჩამორთმევას". სისხლისსამართლებრივი ჩამორთმევა იყო ზოგადი ხასიათის და ეხებოდა სამართალდარღვევის ობიექტის, დანაშაულის ჩადენის საშუალების და დანაშაულიდან მიღებული შემოსავლის ჩამორთმევას, რაც ბრალის დამტკიცების შემთხვევაში გამამტყუნებელ განაჩენთან ერთად დგებოდა. ამასთან, ეს უკანასკნელი წარმოება, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 37-ე მუხლის პირველი პარაგრაფის და ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (ასკ) 21-ე მუხლის 4-11 პარაგრაფებით რეგულირდებოდა, მიზნად ისახავდა უშუალოდ უკანონოდ მოპოვებული და დაუსაბუთებელი მატერიალური სიკეთის ამოღებას თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან ე.წ. "დაკავშირებული პირისგან", თუნდაც ჯერ გამამტყუნებელი განაჩენი არ დამდგარიყო.

51. თუმცა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს, ქონების ადმინისტრაციული ჩამორთმევის წარმოება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც თანამდებობის პირს ბრალი თანამდებობაზე ყოფნის დროს საჯარო სამსახურის, საწარმოს ან ორგანიზაციის ინტერესების საზიანოდ ჩადენილ სამართალდარღვევაში (მათ შორის კორუფციულ სამართალდარღვევაში) წაეყენება; ანდა ერთ-ერთ შემდეგ დანაშაულში: ფულის გათეთრება, გამოძალვა, ქონების მითვისება, გაფლანგვა, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება, საბაჟო კანონმდებლობის დარღვევა, მიუხედავად იმისა პირს სამართალდარღვევის ჩადენისას თანამდებობა ეკავა თუ არა.

52. მაშასადამე, თუ თანამდებობის პირს ბრალი ერთ-ერთ ზემოთ მითითებულ სამართალდარღვევაში წაეყენებოდა და პროკურორს საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდებოდა, რომ თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის და 'მასთან დაკავშირებული პირის' საკუთრებაში არსებული ქონება შესაძლოა, მოპოვებული უკანონოდ ყოფილიყო, პროკურორს უფლება ჰქონდა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პარაგრაფის საფუძველზე "სამოქალაქო სარჩელი" აღედრა უკანონო გზით შეძენილი ქონების და დაუსაბუთებელი მატერიალური სიკეთის ჩამორთმევის მოთხოვნით.

53. მას შემდეგ, რაც პროკურორი ქონების ჩამორთმევის შესახებ საკმარისი დოკუმენტური მტკიცებულებებით დასაბუთებულ სარჩელს შეიტანს, მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხეზე. თუ მოპასუხე პროკურორის სასარჩელო მოთხოვნას ისეთი დოკუმენტების წარმოდგენით ვერ გააქარწყლებს, რომლებიც ქონების (ან მის შესაძენად საჭირო თანხების) კანონიერ წარმოშობას, და ამ ქონებაზე გადასახადების გადახდის ფაქტს დაამტკიცებს, მაშინ სასამართლო, დარწმუნდება რა რომ პროკურორის მოთხოვნა საკმარისად დასაბუთებულია, ბრძანებს ამ ქონების ჩამორთმევას (ასკ-ს 21-ე მუხლის 6 პუნქტი).

54. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის მე-8 პარაგრაფის თანახმად, ქონების ჩამორთმევის მიზანია სადავო ქონების თანამდებობის პირის მიერ უკანონო გზით შეძენამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა. კერძოდ, ადმინისტრაციული წარმოებით ჩამორთმეული ქონება მესამე პირთა კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ, გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, რომელიც შეიძლება ფიზიკური ან იურიდიული პირი იყოს. თუ ქონების ჩამორთმევის წარმოებისას კანონიერი მესაკუთრე ვერ დადგინდება, ქონების ჩამორთმევა განხორციელდება სახელმწიფოს სასარგებლოდ (ასკ-ის 21-ე მუხლის მე-8 პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტი). ქონების ღირებულების გადახდევინებას, ასევე უშვებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის, მე-8 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი, რომლის თანახმად თუ ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების სახელმწიფოსთვის პირველადი ფორმით დაბრუნება შეუძლებელია, მოპასუხემ უნდა გადაუხადოს სახელმწიფოს ამ ქონების ღირებულების ეკვივალენტური ფულადი თანხა.

C. გაერთიანებული ერების კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ

55. გაერთიანებული ერების 2005 წლის კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ რატიფიცირებული იქნა და საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2008 წლის 8 ნოემბერს.

56. აღნიშნული კონვენციის 31-ე მუხლში და 54-ე მუხლის 1-ლ (გ) პუნქტში, რომელიც კორუფციასთან დაკავშირებული ქონების ან კორუფციული სამართალდარღვევიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს აწესებს, ნათქვამია:

მუხლი 31: აქტივების გაყინვა, დაყადაღება და ჩამორთმევა

"1. კონვენციის თითოეული მონაწილე ქვეყანა მიიღებს ყველა შესაძლო ზომას, შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემის გათვალისწინებით, რომელიც შესაძლებელს გახდის ჩამორთმეულ იქნას შემდეგი:

ა) დანაშაულიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც მიღებულია ამ კონვენციით განსაზღვრული სამართალდარღვევიდან ან ქონება, რომელიც ამგვარი შემოსავლების ეკვივალენტურია;.

4. თუ დანაშაულიდან მიღებული ასეთი შემოსავლები მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა ქონებაში გარდაიქმნა ან გაიცვალა, ასეთი ქონება ექვემდებარება კონვენციაში მითითებულ ზომებს დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების სანაცვლოდ.

5. თუ დანაშაულიდან მიღებული ასეთი შემოსავლები ისეთ ქონებასთან არის შეერთებული, რომელიც კანონიერად არის მოპოვებული, ასეთი ქონება, ასევე ექვემდებარება როგორც გაყინვას ან დაყადაღებას, ასევე ჩამორთმევას მასთან შეერთებული შემოსავლების ღირებულების მოცულობამდე.

6. შემოსავალი და სხვა სარგებელი, რომელიც დანაშაულიდან მიღებული შემოსავლებიდან, ან ქონებიდან, რომელშიც ასეთი შემოსავლები გარდაიქმნა ან გაიცვალა, ან ქონებიდან, რომელსაც დანაშაულიდან მიღებული შემოსავლები შეუერთდა, არის მიღებული, ასევე ექვემდებარება ამ მუხლში მითითებულ ზომებს, იმავე წესით და იმავე მოცულობით, როგორც დანაშაულიდან მიღებული შემოსავლები. ...

8. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს, მოითხოვოს, რომ სამართალდამრღვევმა ამ შემოსავლების ან ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების კანონიერი წარმოშობა დაამტკიცოს, თუ ეს მოთხოვნა შიდა კანონმდებლობის ფუნდამენტურ პრინციპებს, ასევე

მართლმსაჯულებისა და სხვა სამართალწარმოების ხასიათს შეესაბამება.

9. ამ მუხლის დებულებები არ უნდა იქნეს გაგებული კეთილსინდისიერი მესამე პირის უფლების საზიანოდ. ..."

მუხლი 54. ქონებრივი გადახდევინების მექანიზმები ქონების ჩამორთმევის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გზით

"1. კონვენციის თითოეული წევრი სახელმწიფო, ... შიდა კანონმდებლობის შესაბამისად: ...

გ) განიხილავს ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც ასეთი ქონების ჩამოსართმევად გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის გარეშე იმ ან სხვა შემთხვევებში იქნება საჭირო, როდესაც დამნაშავეს სისხლისსმართლებრივ პასუხისგებაში მიცემა მისი სიკვდილის, მიმალვის ან ადგილზე არყოფნის და სხვა სათანადო შემთხვევების გამო შეუძლებელია."

57. გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის ტექნიკური სახელმძღვანელოდან ამონარიდები განმარტავს რამდენიმე ძირითად სამართლებრივ ცნებას, რომელიც კორუფციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევას ეხება.

"IV. რა უნდა ჩაითვალოს დანაშაულიდან მიღებულ ქონებრივ შემოსავლად ქონების ჩამორთმევის მიზნებიდან გამომდინარე

გაეროს კონვენციის 31-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები ადგენს ამ მუხლის მოთხოვნების შესრულებისთვის ზომების მინიმალურ სტანდარტს.

პუნქტი 4

ეს პუნქტი ეხება ისეთ სიტუაციას, როდესაც შემოსავლები გარდაიქმნა ან გაიცვალა სხვა ქონებაში. ამ შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფომ უშუალო შემოსავლის მაგიერ ჩამორთმევას უნდა დაუქვემდებაროს ის ქონება, რომელშიც გარდაიქმნა ან გაიცვალა შემოსავალი.

იმის გათვალისწინებით, რომ სამართალდამრღვევი პირები ეცდებიან დანაშაულიდან მიღებული პირველადი შემოსავლები რაც შეიძლება მალე მოიცილონ, რათა გამოძიებას ქონების მიკვლევადობაში ხელი შეუშალონ, აღნიშნული დებულება მეტად მნიშვნელოვანია ქონების ჩამორთმევის

მთარგმნელი: ნიკოლოზ ჯაში

ნივთზე-დაფუძნებული მოდელის გამოყენებისას, რითაც პოტენციური კეთილსინდისიერ მესამე პირთან კონფლიქტი თავიდან იქნება აცილებული და საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებებს ხელი შეეწყობა. ეს დებულება ასახავს იმავე თეორიას, რომელიც ქონების ფასის ეკვივალენტის ჩამორთმევის მოდელს უდევს საფუძვლად: მნიშვნელოვანი ის არის, რომ ბოროტმოქმედს არ მიეცეს უკანონო გზით გამდიდრების შესაძლებლობა.

აღნიშნული დებულება ეხმიანება ე.წ. "ბინძური ქონების" თეორიას, რომლის თანახმად, როდესაც ბინძური იცვლება "სუფთა ქონებაში", ეს უკანსაკნელიც ბინძურდება. მართალია, აქ კეთილსინდისიერი შემძენის საკითხი დგება, თუმცა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა უპირატესობას ანიჭებს "დაბინძურების" შეუქცევადობის პრინციპს მიუხედავად ქონების გადაცემის, მიღების და გაცვლის განმეორებისა.

პუნქტი 5

ეს პუნქტი ეხება სიტუაციას, როდესაც დანაშაულიდან მიღებული შემოსავლები კანონიერი გზით მოპოვებულ ქონებასთან არის შეერთებული. წევრი სახელმწიფო ვალდებულია, ჩამორთმევას ქონების ის ნაწილი დაუქვემდებაროს, რომელიც დანაშაულიდან მიღებული შეერთებული შემოსავლის ღირებულებას შეესაბამება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ორივე სიტუაციამ, როდესაც ქონების ჩამორთმევის სისტემა ნივთის ჩამორთმევის პრინციპით მოქმედებს, შესაძლოა, პრობლემა გამოიწვიოს, რადგან აქ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების გამორკვევა არის საჭირო. ხოლო ქონების ჩამორთმევის ღირებულების პრინციპის გამოყენებისას ამგვარი პრობლემა არ გვაქვს.

პუნქტი 6

ეს პუნქტი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოს, დანაშაულიდან მიღებული არამართო პირველადი, არამედ მეორადი შემოსავლებიც ჩამორთმევას დაუქვემდებაროს. პირველადი შემოსავალი არის ის სახსრები, რომლებიც უშუალოდ სამართალდარღვევის გზით არის მიღებული - მაგალითად, 100 000 აშშ დოლარის ქრთამი. ამისგან განსხვავებით, მეორადი შემოსავალი ნიშნავს თავდაპირველი შემოსავლიდან მიღებულ სარგებელს, როგორც არის დარიცხული საბანკო პროცენტი, ან ინვესტირების შედეგად გაზრდილი თანხა. ამასთან დაკავშირებით კონვენცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოს, ჩამორთმევას როგორც პირველადი, ასევე მეორადი შემოსავლები დაუქვემდებაროს.

თუმცა დანაშაულებრივი შემოსავლების მე-2 მუხლის "ზ" პუნქტში მოცემული განმარტება მოიცავს როგორც "დანაშაულის გზით მოპოვებულ" და "დანაშაულიდან წარმოშობილ" ქონებას, ეს პუნქტი

ცალსახად მიუთითებს დანაშაულიდან შემოსავლებიდან მიღებულ "შემოსავალსა და სხვა სარგებელზე", და გამოიყენება ყველა სარგებელთან მიმართებით, რომელიც მე-4 და მე-5 პუნქტებში მოყვანილ სიტუაციებში გვაქვს, ანუ სხვა ქონებაში გარდაქმნილი, გაცვლილი და სხვა ქონებასთან შეერთებული ქონების მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანაშაულიდან შემოსავლების ღირებულების ზრდა, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას არ უკავშირდება, ასევე უნდა დაექვემდებაროს ჩამორთმევას. ...

პუნქტი 8

მე-8 პუნქტი ურჩევს წევრ სახელმწიფოს, დანაშაულიდან სავარაუდოდ მიღებული შემოსავლების კანონიერი წარმოშობის მტკიცების ტვირთის შებრუნების საკითხი განიხილოს. ...

გარდა თავისებური ნორმისა, რომელიც უშვებს არასისხლისსამართლებრივი მტკიცების სტანდარტს გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის შემდეგ, რამდენიმე ქვეყნის იურისდიქციაში მიღებულია ჩამორთმევის სამოქალაქო წარმოება, რომელიც ნივთის მიმართ მოქმედებს და წარიმართება მტკიცებულების გადაწონვის სტანდარტით.

VII. კეთილსინდისიერი მესამე პირის დაცვა

მე-9 პუნქტი ითხოვს წევრი სახელმწიფოსგან, რომ ამ მუხლის დებულებები კეთილსინდისიერი მესამე პირის უფლებების საზიანოდ არ იყოს გამოყენებული. თუმცა, კონვენცია არ უთითებს მესამე პირის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს. ამდენად, გაეროს კონვენციის ამ დებულების განსახორციელებლად, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა შესაძლოა, მესამე პირის მიერ, დაყადაღებულ ქონებაზე საკუთრების უფლების მოთხოვნის ცალკე წარმოებას ითვალისწინებდეს, რომლის დროსაც სახელმწიფო ბრალდება შეაფასებს:

- ხომ არ მოქმედებდა მესამე პირი ძირითადი დანაშაულის დაფარვის მიზნით, ან ჩართული ხომ არ არის თანამდევ სამართალდარღვევაში;
- აქვს თუ არა მესამე პირს მართლზომიერი ინტერესი ქონებაში;
- მოქმედებდა თუ არა მესამე პირი კანონმდებლობის ანდა კომერციული საქმიანობის წესების შესაბამისად;
- თუ ქონება მოითხოვს გარიგების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში ან ადმინისტრაციულ წარმოებას, მოხდა თუ არა ამ ინფორმაციის მიწოდება (მაგ.: უძრავი ქონების ან ავტომობილების შესახებ);
- ხომ არ არის გარიგება თვალთმაქცური, და ნამდვილად თუ ეყრდნობა საბაზრო ფასებს."

D. ევროპის საბჭოს კონვენციები

1. ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ ევროპის საბჭოს 1990 წლის კონვენცია

58. ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (ETS No 141), რომელიც საქართველოსთვის ძალაში 2004 წლის 1 სექტემბერს შევიდა, ადგენს, რომ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე "თანამედროვე და ეფექტური მეთოდი" ..დამნაშავეთათვის დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების ჩამორთმევა" არის (იხ. ევროპის საბჭოს კონვენციის პრეამბულა).

59. ევროპის საბჭოს კონვენციის წევრი სახელმწიფო "მიიღებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ნორმებს, რომლებიც დანაშაულის საშუალებების, დანაშაულიდან შემოსავლების, ან დანაშაულიდან შემოსავლების ეკვივალენტური ქონების ჩამოსართმევად იქნება საჭირო" (იხ. მე-2 მუხლი). ამასთანავე, ტერმინი "ქონების ჩამორთმევა" განმარტებულ იქნა როგორც "სასამართლოს მიერ დანიშნული სახდელი ან ზომა სისხლის სამართლის დანაშაულ(ებ)თან დაკავშირებული წარმოებისას, რაც ქონების საბოლოო ჩამორთმევას იწვევს" (იხ. 1-ლი მუხლი).

60. ევროპის საბჭოს 1999 წლის კონვენციის განმარტებითი დოკუმენტი ასევე იძლევა სამართლებრივი ტერმინების განმარტებას:

"15. ... ექსპერტებმა ასევე დაადგინეს, რომ ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების სამართალწარმოება განსხვავებულია: გადაწყვეტილებები, რომლებიც სისხლის სამართლის, ან ადმინისტრაციული სამართლის ან ამისთვის ცალკე დადგენილი სასამართლო ორგანოს მიერ არის მიღებული სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის წამორებაში (ასეთ წარმოებას ევროპის საბჭოს კონვენციის ტექსტში "ჩამორთმევის წარმოება", ხოლო განმარტებით დოკუმენტში "სანივთო სასარჩელო წარმოება" ეწოდება) სრულად განსხვავდება იმ სამართალწარმოებისგან, რომელშიც პირის ბრალეულობის დადგენა ხდება. ასევე შესაძლებელია გაიმიჯნოს ასეთი გადაწყვეტილებების

პროცესუალური რეჟიმი (ქონების უკანონო გზით მოპოვების პრეზუმცია, ხანდაზმულობის ვადები და ა.შ.) ...

23. კომისიამ იმსჯელა, კონვენციას უნდა განესაზღვრა თუ არა "ქონების ჩამორთმევის" და "ქონების ჩამორთმევის შესახებ ბრძანების" ტერმინები. ... "ქონების ჩამორთმევის" დეფინიცია შემუშავდა იმისთვის, რომ ნათელი მოეფინა იმ გარემოებისთვის, რომ ერთი მხრივ, კონვენცია მხოლოდ დანაშაულებრივ ქმედებას და ასეთ ქმედებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო სანივთო სარჩელს (in rem) ეხება, და მეორე მხრივ, რომ სასამართლო სისტემის ორგანიზაციასა და წარმოებებს შორის არსებული განსხვავება კონვენციის გამოყენებას არ გამორიცხავს. მაგალითად, ის ფაქტი, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ქონების ჩამორთმევა არა სისხლისსამართლებრივ სანქციად, არამედ სარჩელის უზრუნველყოფის ან სხვა მსგავს ზომად ითვლება, არსებითად არ მოქმედებს იმ პრინციპზე, რომ ქონების ჩამორთმევა დანაშაულებრივ საქმიანობას უკავშირდება. ასევე არ აქვს მნიშვნელობა იმ გარემოებას, რომ ქონების ჩამორთმევის გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე, რომელიც არ არის სისხლის სამართლის საქმეებზე სპეციალიზებული მოსამართლე. ტერმინ "სასამართლოს" ენიჭება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის მსგავსი მნიშვნელობა. ექსპერტები თანხმდებიან, რომ ქონების ჩამორთმევის წმინდა ადმინისტრაციული წესი კონვენციის მოქმედების სფეროში არ ხვდება.

2. ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია დანაშაულიდან შემოსავლების გათეთრების, ჩხრეკის, დაყადაღების და ჩამორთმევის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ

61. ევროპის საბჭომ 2005 წელს მიიღო სხვა, უფრო ვრცელი კონვენცია დანაშაულიდან შემოსავლების გათეთრების, ჩხრეკის, დაყადაღების და ჩამორთმევის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ (ETS No 198). ეს უკანასკნელი კონვენცია საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2014 წლის 1-ელ მაისს.

62. 2005 წლის კონვენციის ჩვენი მიზნებისთვის საინტერესო მე-3 და მე-5 მუხლებში ვკითხულობთ:

მუხლი 3 - ქონების ჩამორთმევის ზომები

"4. წევრი სახელმწიფო მიიღებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რომლებიც აუცილებელია, რათა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული მძიმე დანაშაულის ან დანაშაულების არსებობისას დამნაშავე ვალდებული გახდეს, რამდენადაც ეს შეესაბამება ეროვნული

მთარგმნელი: ნიკოლოზ ჯაში

კანონმდებლობის მოთხოვნებს, ჩამორთმევას დაქვემდებარებული შემოსავლების ან ქონების წარმოშობის წყარო მიუთითოს."

მუხლი 5 - აქტივების გაყინვა, დაყადაღება და ჩამორთმევა

"თითოეული წევრი ქვეყანა მიიღებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ გაყინვის, დაყადაღების და ჩამორთმევის მექანიზმი ასევე გავრცელდეს:

(a) ქონებაზე, რომელშიც ხსენებული შემოსავლები გარდაიქმნა ან გაიცვალა;

(b) ქონებაზე, რომელიც მიღებულია კანონიერი წყაროებიდან, თუ დანაშაულიდან შემოსავლები მთლიანად ან ნაწილობრივ ამ ქონებასთან არის შეერთებული, ასეთი ქონების ღირებულების მოცულობით.

(c) მოგება და სხვა მატერიალური სიკეთე, რომელიც მიღებულია შემოსავლებიდან ანდა ქონებიდან, რომელშიც გარდაიქმნა ან გაიცვალა დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლები, ანდა ქონებიდან, რომელშიც ასეთი შემოსავლები არის შეერთებული (ასეთი შეერთებული შემოსავლების ღირებულების მოცულობამდე), ექვემდებარება ამ მუხლში მითითებულ ზომებს, იმავე წესით და იმავე მოცულობით, როგორც დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლები."

63. 2005 წლის კონვენციის განმარტებითი დოკუმენტი ადგენს:

"39. "ჩამორთმევის" დეფინიცია შემუშავდა, რათა ნათელი მოეფინა იმ გარემოებისთვის, რომ, ერთი მხრივ, 1990 წლის კონვენცია მხოლოდ დანაშაულებრივ საქმიანობას ან ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებულ ნივთობრივ სარჩელს (in rem) ეხება, და, მეორე მხრივ, განსხვავებები სასამართლო სისტემის ორგანიზაციის და წარმოების წესში კონვენციის გამოყენებას არ გამორიცხავს. მაგალითად ის ფაქტი, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ქონების ჩამორთმევა არა სისხლისსამართლებრივ სანქციად, არამედ სარჩელის უზრუნველყოფის ან სხვაგვარ ზომად განიხილება, არსებითად არ მოქმედებს იმ პრინციპზე, რომ ქონების ჩამორთმევა დანაშაულებრივ საქმიანობას უკავშირდება. ასევე არ აქვს მნიშვნელობა იმ გარემოებას, რომ ქონების ჩამორთმევის გადაწყვეტილებას ის მოსამართლე იღებს, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებზე სპეციალიზებული მოსამართლე არ არის.

64. განმარტებით ბარათში ასევე ნათქვამია:

"71. მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოს, რომ მძიმე დანაშაულის არსებობისას ქონების კანონიერი წარმოშობის მტკიცების ტვირთის შებრუნება დაუშვას. ...

76. ეს დებულება კერძოდ ხაზს უსვამს ამ ზომის გამოყენების საჭიროებას ისეთი შემოსავლების მიმართ, რომლებიც კანონიერად მოპოვებულ ქონებასთან იქნა შეერთებული ან რომელიც სხვაგვარად გარდაიქმნა ან გაცვლილ იქნა."

E. ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალურ ქმედებათა ჯგუფი

65. ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალურ ქმედებათა ჯგუფი (FATF) დაფუძნდა 1989 წლის ივლისში როგორც მთავრობათაშორისი ჯგუფი დიდი შვიდეულის (G-7) უმაღლესი დონის შეხვედრაზე პარიზში. ის აღიარებულია საერთაშორისო დონეზე როგორც ავტორიტეტული ორგანო, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საყოველთაო ნორმებს ადგენს და პოლიტიკას შეიმუშავებს. 2003 წელს ამ ჯგუფმა გამოსცა სპეციალური რეკომენდაცია, რომელიც საქართველომ მოიწონა, და რომელიც სახელმწიფოს მიერ ქონების ჩამორთმევას გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის გარეშე უშვებდა (ეს რეკომენდაცია ცნობილია, როგორც რეკომენდაცია No 3):

"დროებითი ზომები და ქონების ჩამორთმევა

3. ... სახელმწიფომ შესაძლოა, მიიღოს სამართლებრივი ზომები, რომლებიც ასეთი შემოსავლების ან აქტივების გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის გარეშე ჩამორთმევას დაუშვებს, ანდა რომლებიც შესაძლო ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების კანონიერი წარმოშობის დამადასტურებელი საბუთის სამართალდამრღვევის მიერ წარმოდგენას მოითხოვს, რამდენადაც ამ მოთხოვნას ეროვნული კანონმდებლობის პრინციპები შესაძლებლად მიიჩნევენ."

F. ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ზომების და ტერორიზმის დაფინანსების შეფასების ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL)

66. საქართველოს შესახებ გაკეთებული პირველი ანგარიში, რომელიც 2000 წლის 23-26 ოქტომბერს შემფასებელთა ჯგუფის

ვიზიტს ასახავდა, შემდეგ რეკომენდაციას იძლეოდა:

"2. საქართველოში უკანონო შემოსავლების წყაროებს და ეკონომიკისთვის ზიანის მიმყენებელ ფაქტორებს წარმოადგენს კორუფცია, ფალსიფიკაცია, გადასახადებისგან თავის არიდება და საქონლის კონტრაბანდა. ...

6. შემფასებლების აზრით, დაყადაღების და ქონების ჩამორთმევის სამართლებრივი რეჟიმი გადახედილი და საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აყვანილი უნდა იქნას. შემფასებლების აზრით, ქონების ჩამორთმევის წარმოება სტრასბურგის კონვენციის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს, კერძოდ მატერიალური აქტივების და შემოსავლების ჩამორთმევის შესაძლებლობა უნდა დაწესდეს, და თუ ასეთი აქტივები და შემოსავლები გარდაიქმნა სხვა ქონებად, მაშინ ქონების ღირებულების ეკვივალენტის ჩამორთმევა უნდა მოხდეს."

67. MONEYVAL-ის შემფასებელთა გუნდმა, საქართველოში 2003 წლის 21-23 მაისში მეორე ვიზიტის შემდეგ, საკუთარ მეორე ანგარიშში გააკრიტიკა საქართველოს ხელისუფლება დანაშაულიდან შემოსავლების ჩამორთმევის სამართლებრივ რეგულირებაში ხარვეზის არსებობის გამო:

"8. ... "ვიზიტის განხორციელების პერიოდში საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებდა ქონების ღირებულების ეკვივალენტის ჩამორთმევის პრინციპს და მართლაც, ქონების ჩამორთმევის შესახებ ქმედითი სამართლებრივი ნორმების არარსებობა დასახელდა ფულის გათეთრების საქმეებზე გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების უპირველეს მიზეზად. საჭიროა ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა დანაშაულიდან (პირდაპირი თუ ირიბი) შემოსავლების ჩამორთმევის სამართლებრივი რეჟიმის არსებობისთვის, და ასევე ქონების ღირებულების ეკვივალენტის პრინციპზე დამყარებული გადახდევენების შემოღებისთვის. სასურველია, უკანონო შემოსავლების წყარო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებთან მიმართებით სხვა ქვეყნებში კარგად აპრობირებული პრაქტიკის ელემენტები, მათ შორის სადავო შემოსავლების კანონიერი წარმოშობის მტკიცების ტვირთის შებრუნება, დაინერგოს."

68. საქართველოში მესამე ვიზიტის (2006 წლის 23-29 აპრილი) შემდეგ MONEYVAL-მა თავის მესამე დეტალურ ანგარიშში დადებითად შეაფასა ქონების ადმინისტრაციული ჩამორთმევის წესი, რომელიც 2004 წლის 13 თებერვალს იქნა შემოღებული:

"18. ქონების ჩამორთმევის შესახებ საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, და ახლა უკვე

მთარგმნელი: ნიკოლოზ ჯაში

დანერგილია ძირითადი სამართლებრივი მექანიზმი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების (შემოსვლების), დანაშაულის საშუალებების და სხვა ნივთების ჩამოსართმევად. ...

19. ასევე ძალაშია ქონების ჩამორთმევის სპეციალური ადმინისტრაციული დებულებები ისეთი განსაკუთრებული საქმეებისთვის, რომლებშიც თანამდებობის პირები და ორგანიზებულ დანაშაულის ჯგუფები მონაწილეობენ; და ეს ნორმები ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის სამოქალაქო სტანდარტს, რაც მისასაღმებელია. ...

239. ახალმა ადმინისტრაციულმა ნორმებმა მოიცვა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული თანამდებობის პირების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები, რათა მესამე პირებიდან იმ ქონების ჩამორთმევა მომხდარიყო, რომელიც მესამე პირების ხელში ამ ქონების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს ბრძანების აღსრულების დაბრკოლების მიზნით აღმოჩნდა. ... ეს დებულებები (და ასევე მტკიცების ტვირთის შებრუნებასთან დაკავშირებული ცვლილებები) მისასაღმებელია, და მათ უნდა მოიცვას ბევრი სხვა მესამე პირი, რომლის ხელშიც უკანონოდ მოპოვებული აქტივები მოხვდა.

240. ... თანამდებობის პირების მიმართ ზემოაღნიშნულ საქმეებში ქონების ჩამორთმევის ახალი ადმინისტრაციულ-პროცესუალური ნორმების მიღება წარმატებად უნდა შეფასდეს. ..."

G. ევროპის საბჭოს ჯგუფი სახელმწიფოები კორუფციის წინააღმდეგ (GRECO)

69. GRECO-მ საქართველოს შესახებ თავის მეორე ანგარიშში, რომელიც 2006 წლის 4-8 დეკემბრის 31-ე პლენარულ სხდომაზე იქნა მიღებული, გასცა შემდეგი რეკომენდაცია:

"31. უკანასკნელ წლებში საქართველომ მიიღო ახალი საკანონმდებლო ცვლილებების დიდი პაკეტი, მათ შორის უკანონო შემოსავლების და დანაშაულის საშუალებების დაყადაღების და ჩამორთმევის შესახებ, ასევე კორუფციის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ. ქონების ჩამორთმევის ადმინისტრაციული წესის შემოღებამ, რომელიც თანამდებობის პირების უკანონოდ მოპოვებულ და დაუსაბუთებელ ქონებას ეხება, მისცა სამართალდამცავ ორგანოებს ეფექტური მექანიზმი, თანამდებობის პირებს, მათი ოჯახის წევრებს და ე.წ. დაკავშირებულ პირებს დანაშაულებრივი გზით მიღებული სარგებელი ჩამოართვან.

ქონების ადმინისტრაციული წესით ჩამორთმევა არ ითხოვს გამამტყუნებელი განაჩენის არსებობას, არამედ იგი ცალსახად უშვებს ქონების მესამე პირიდან ამოღებას და ასევე ქონების ღირებულების

მთარგმნელი: ნიკოლოზ ჯაში

ეკვივალენტის გადახდევინებას, და ითვალისწინებს მტკიცების განსხვავებულ სტანდარტს, რომ მას შემდეგ რაც პროკურორი მოპასუხის უკანონოდ მოპოვებული ქონების წინააღმდეგ სარჩელს აღძრავს, მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე გადადის, რათა მან დაამტკიცოს, რომ სადავო ქონება (ან ამ ქონების შესაძენად საჭირო ფინანსური თანხები) კანონიერად არის მოპოვებული.

ჯგუფის შემფასებელ გუნდს ეცნობა, რომ დღემდე 40 მილიონ ევროზე მეტი ღირებულების ქონება იქნა ამოღებული, რაც თანამდებობის პირების მიერ თანამდებობაზე ყოფნის დროს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობის არდაშვების საქართველოს ხელისუფლების მტკიცე ნებას ადასტურებს. თუმცა ამავე დროს ჯგუფს ეცნობა, რომ ქონების ჩამორთმევის ადმინისტრაციული წესის უკანონო გამოყენების თაობაზე გარკვეული შემფოთება არსებობს, კერძოდ, რომ ეს წესი მხოლოდ წინა მთავრობის მომხრეების წინააღმდეგ გამოიყენებოდა.

ასევე შემფოთების საგანს წარმოადგენდა არასაკმარისი გამჭვირვალობა ჩამორთმეული ქონების მიქცევის თვალსაზრისით, რადგან ნათელი არ იყო, ჩამორთმეული ქონება ვის გადაეცემოდა (თუ ასეთი კანონიერი მფლობელი არსებობდა) ან ვისზე იყიდებოდა (ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის შემთხვევაში), და ასევე გაურკვეველი იყო, სახელმწიფოს გარდა ქონების ჩამორთმევით მოგებული ვინ რჩებოდა. თავის მხრივ საქართველოს მთავრობამ აცნობა შემფასებელ ჯგუფს, რომ ჩამორთმეული ქონების მიმართვის გამჭვირვალობასთან დაკავშირებული პრობლემა იმით მოიხსნა, რომ სპეციალური სახელმწიფო ფონდი, რომელშიც აღნიშნული ქონება აკუმულირდებოდა, გაუქმდა, და ახლა ჩამორთმეული ქონების ღირებულება ბიუჯეტში აისახებოდა.

თუმცა შემფასებელ გუნდს არ შეეძლო, შეეფასებინა ხსენებულ შემფოთებას კვლავ ადგილი ჰქონდა თუ არა, იგი მიიჩნევს, რომ ქონების ჩამორთმევის ადმინისტრაციულ პრაქტიკასთან დაკავშირებულ ყველა ეჭვს პასუხი უნდა გაეცეს, და ასეთი ეჭვის საბაზი თავიდან უნდა იქნას აცილებული. მაშასადამე, ჯგუფის შემფასებელთა გუნდი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ქონების ჩამორთმევის ადმინისტრაციული ზომის გამოყენების მაქსიმალური გამჭვირვალობა უნდა უზრუნველყოს, რათა ამ მექანიზმის ბოროტად გამოყენების შთაბეჭდილება არავის დარჩენოდა."

H. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) დასკვნა კორუფციის საწინააღმდეგო ზომებზე საქართველოში და გლობალურ დონეზე

70. 2004 წლის 21 იანვარს OECD-ის ანტიკორუფციულმა ქსელმა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის (შემდგომში ACN) საქართველოს მიმართ მიიღო შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც ცნობილია როგორც "რეკომენდაცია No 9":

"9. .. იმსჯელოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანაზე, რათა უზრუნველყოფს, რომ შემოსავლების ჩამორთმევის პრაქტიკა ყველა კორუფციულ და კორუფციასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე სავალდებულოდ გავრცელდეს. (საქართველომ) ასევე უზრუნველყოს, რომ ქონების ჩამორთმევის რეჟიმი კორუფციული შემოსავლების, ან ასეთი შემოსავლების ეკვივალენტური ქონების, ან მსგავსი ეფექტის მქონე ქონებრივი სახდელის დაკისრებას, და ასევე ქონების მესამე პირებიდან ამოღების შესაძლებლობას უშვებდეს. გადახედოს სარჩელის უზრუნველყოფის შესაბამის ნორმებს, რათა კორუფციული შემოსავლების გამოაშკარავება და დაყადაღება სისხლისსამართლებრივი გამოძიებისას და სისხლისსამართლებრივი დევნის სტადიაზე უფრო ეფექტური და ქმედითი გახდეს. განიხილოს დაუსაბუთებელი მატერიალური სიკეთის შემოწმების, და საჭიროების შემთხვევაში, დაყადაღების შესაძლებლობა."

71. 2004 წლის ივნისში ACN-მა მოუწონა საქართველოს ხელისუფლებას მთელი რიგი ანტიკორუფციული ზომების, მათ შორის საკანონმდებლო დონეზე, სწრაფი მიღება. შეფასების და რეკომენდაციების შემაჯამებელი 2004 წლის 17 ივნისს დამტკიცებულ დოკუმენტის დანართში ვკითხულობთ:

"მიუხედავად იმისა რომ იანვრის შეფასების შემდეგ ძალზედ ცოტა დრო გავიდა, საქართველოს შესახებ ახალი ანგარიში აღნიშნავს ეროვნულ კანონმდებლობაში განხორციელებულ მთელ რიგ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომელთაგან ზოგი იანვარში გაკეთებულ რეკომენდაციებს უკავშირდება. ძირითადი ცვლილებები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად: ..

- ქონების ჩამორთმევა: უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების გამოძიებისთვის სამართლებრივი ნორმების მიღება, და უკანონო ქონების ამოღების ინსტიტუტის შემოღება;
- გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურობა: სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში საპროცესო შეთანხმების შემოღება; მტკიცებულებათა შეგროვებისთვის სპეციალური საგამოძიებო საშუალებების გამოყენების შესაძლებლობის ზრდა;
- დანაშაულიდან შემოსავლების ჩამორთმევა: საქართველომ მიიღო ახალი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც დაუსაბუთებელი ქონების

მთარგმნელი: ნიკოლოზ ჯაში

ჩამორთმევის სამართლებრივ საფუძველს ადგენს, და რომელიც კორუფციიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევის იანვრის თვეში გაკეთებულ რეკომენდაცია No 9-ს ეხმიანება; დამატებით იქნა შემოღებული სამართლებრივი ზომები, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის წარმოებას არ ეხება, და რომლებიც დაუსაბუთებელი მატერიალური სიკეთის ჩამორთმევის შესაძლებლობას იძლევა (მტკიცების ტვირთის შებრუნების პრინციპით) ..."

72. შედეგად, ACN-ის საქართველოს შესახებ თავის პირველ სამეთვალყურეო ანგარიშში, რომელიც 2006 წლის 13 ივნისს იქნა მიღებული, ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რეკომენდაცია No9 მთლიანობაში გაითვალისწინა (შედარებისთვის იხილეთ 70-ე პუნქტი ზემოთ):

"საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაშია მოყვანილი საერთაშორისო ნორმებთან, კერძოდ, ევროპის საბჭოს შესაბამისი კონვენციის დებულებებთან იმით, რომ ქონების ჩამორთმევას არამართო სისხლისსამართლებრივ წარმოებაში, არამედ ასევე სხვა საშუალებების გამოყენებითაც უშვებს. ასე მაგალითად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი უფლებას აძლევს პროკურორს, უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების წინააღმდეგ სარჩელი აღძრას, ასეთი ქონების ცნება მოცემულია საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ საქართველოს კანონში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს სამოქალაქო სარჩელის შესაძლებლობას სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეზე. საქართველომ ასევე წარმოადგინა კანონის ამ ნორმების გამოყენების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მათ ეფექტურად გამოყენებას ადასტურებს. როგორც ჩანს, კორუფციული შემოსავლების გამოაშკარავების და დაყადაღების წესი მოქმედებს და იგი ეფექტური და ქმედითია."

73. ACN-ის საქართველოს შესახებ თავის მესამე სადამკვირვებლო ანგარიშში, რომელიც 2013 წლის 25 სექტემბერს არის მიღებული, ქვეყანაში მიღებულ ანტიკორუფციულ ზომებთან დაკავშირებით აღნიშნულია:

"დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კორუფცია წარმოადგენდა საქართველოში ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაღობას. კორუფციის ყოვლისმომცველი და ძლიერ შესამჩნევი ხასიათი მნიშვნელოვანად აზიანებდა მთავრობისადმი ნდობას. მაგრამ, 2004 წელს საქართველოს ახალმა მთავრობამ, რომელიც ხელისუფლებაში 'ვარდების რევოლუციის' შემდეგ მოვიდა, აიღო ვალდებულება, კორუფციის პრობლემისთვის მიეხედა, და მიაღწია ადმინისტრაციული კორუფციის აღმოფხვრის მნიშვნელოვან შედეგებს.

მთარგმნელი: ნიკოლოზ ჯაში

"საერთაშორისო გამჭვირვალობის" კორუფციის აღქმის ინდექსის საქართველოს ქულა 2003 წლიდან 2012 წლამდე შესაბამისად 1,8-დან 5,2-მდე გაიზარდა; და საქართველო 174 ქვეყნიდან 51-ე ადგილზე გადავიდა (ამით საქართველო გახდა ლიდერი აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის). ეს პროგრესი ცალსახად წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან წინსვლას სტამბულის სამოქმედო გეგმის მონაწილე ქვეყნებისთვის. ამ მაჩვენებლით საქართველო უსწრებს ზოგიერთ ევროკავშირის წევრ ქვეყანასაც (როგორც არის ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, საბერძნეთი, იტალია, ლატვია, სლოვაკეთი და რუმინეთი). მიუხედავად იმისა რომ კვლევების თანახმად კორუფციის ელემენტები გაქრა მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრებიდან, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთი წარმომადგენელი მიიჩნევდა, რომ 'ელიტურ' კორუფციას ადგილი მაინც ჰქონდა. ელიტური კორუფცია მოიაზრება ერთ-ერთ მიზეზად, რის გამოც 2012 წლის საპარლემანტო არჩევნებში წინა ხელისუფლებამ მარცხი განიცადა.

ანტი-კორუფციულ ნორმატიული ბაზის გაუმჯობესებით საინვესტიციო და ბიზნეს კლიმატი ქვეყანაში მნიშვნელოვნად გამოკეთდა. მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების შესახებ 2013 წლის ბოლო ანგარიშის მიხედვით საქართველომ (2006 წლის 112-ე ადგილიდან) წინ წაიწია და მე-9 ადგილზეა გლობალური მასშტაბით, მაშინ როდესაც უახლოესი მეზობელი ქვეყანა, როგორც არის სომხეთი 32-ე ადგილზეა, ხოლო საშუალო რეგიონალური მაჩვენებელი 73-ია.

2005 წელს საქართველო, 35 ინსტიტუციონალური და ნორმატიული რეფორმის განხორციელებით, დასახელდა ყველაზე სწრაფად მზარდ ქვეყნად როგორც აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, ასევე გლობალური მაჩვენებლებით.

სამართალი

I. მთავრობის წინასწარი პროტესტი

74. მას შემდეგ, რაც 2009 წლის 9 ნოემბერს საქართველოს მთავრობის საჩივრის შესახებ ეცნობა, 2010 წლის 22 ივნისს სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ მესამე მომჩივანი, ბ-ნი თენგიზ გოგითიძე 2005 წლის 7 მაისს გარდაცვლილიყო (იხილეთ

ზემოთ მე-4 და მე-5 პუნქტი). ამ ფაქტთან დაკავშირებით მთავრობამ განაცხადა პროტესტი, რომ გარდაცვლილი პირის საჩივრის განხილვა საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენდა. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნების ადვოკატმა გარდაცვლილი პირის სახელით საჩივრის მოტყუებით შეტანით ამ პიროვნების გარდაცვალების ფაქტი სასამართლოს განზრახ დაუმალა.

75. მომჩივნებს მთავრობის პროტესტზე შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

76. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანხმად საჩივარზე შეიძლება უკუგდებულ იქნას, როგორც არამართლზომიერი, თუ იგი წინასწარი შეცნობით არასწორ ფაქტებს ემყარება (იხილეთ ასევე სამართლის შემდეგი წყაროები: აკდივარი და სხვანი თურქეთის წინააღმდეგ, 1996 წლის 16 სექტემბერი, პ 53-54, გადაწყვეტილებების და განჩინებების ოქმები 1996-IV, და საქმე კერეჟაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (განჩინება), No 5667/02, 2006 წლის 2 მაისი) ან თუ საჩივარი არასრულია და ამდენად სასამართლოსთვის მცდარ ინფორმაციას შეიცავს. (იხილეთ ბექაური საქართველოს წინააღმდეგ (წინასწარი პროტესტი) No 14102/02, პ 21 და 24, 2012 წლის 10 აპრილი და ასევე ჰიუტნერი გერმანიის წინააღმდეგ (განჩინება), No 23130/04, 2006 წლის 9 ივნისი).

77. ამასთან დაკავშირებით სასამართლო შენიშნავს, რომ თუმცა ბ-ნი თენგიზ გოგიტიძე 2005 წლის 7 მაისს გარდაიცვლა, მისი გარდაცვალების მოწმობა საქმეს საჩივრის წარმოდგენის შემდეგ დაერთო, რადგან ადვოკატმა გარდაცვლილი პირის სახელით საჩივარი 2005 წლის 4 ივლისს შემოიტანა. მართლაც, საჩივრის ანკეტა, რომელიც ბ-ნი გოგიტიძის სახელით გაკეთდა, წარმოადგენდა მას როგორც უფლებაუნარიან ცოცხალ ადამიანს, რომელიც იმ დროისთვის რუსეთის ქ. მოსკოვში ცხოვრობდა. ამასთან, 2005 წლის 2 ნოემბერს ადვოკატმა წარმოუდგინა სასამართლოს მინდობილობა, რომელიც 2005 წლის 22 ოქტომბერს მესამე მომჩივნის მიერ მოსკოვში იყო გაცემული და ხელმოწერილი.

78. ამ გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის ანკეტა ყალბ განცხადებას ეყრდნობოდა, თითქოს ბ-ნი გოგიტიძე ცოცხალი იყო და სასამართლოში საჩივრის შემოტანა სურდა, ხოლო მინდობილობა, რომელიც საქმეს 2005 წლის 2 ნოემბერს დაერთო და, რომელსაც "თენგიზ გოგიტიძეს" ხელმოწერა ედო, ერთმნიშვნელოვნად გაყალბებული დოკუმენტი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ გაურკვეველია, კონკრეტულად ვინ ცდილობდა, სასამართლო შეცდომაში შეეყვანა და მინდობილობის

დოკუმენტზე არსებული ხელმოწერა გაეყალბებინა, და არავითარი მინიშნება არსებობს იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა ამ სიყალბის შესახებ საჩივრის სასამართლოში შეტანისას იცოდა, ცხადია, რომ პროცედურული წესებით ასეთი მანიპულირება ინდივიდუალური საჩივრის უფლებასთან ამკარად შეუთავსებელია (შედარებისთვის იხილეთ, საქმე "პოზნანსკი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ" (განჩინება), No 25101/05, 2007 წლის 3 ივლისი).

79. გამომდინარე აქედან, ბ-ნი გოგითიძის სახელით შემოტანილი საჩივარი უპირველეს ყოვლისა არამართლზომიერია კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(ა) პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად და უარი უნდა ეთქვას განხილვაზე 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე.

II. კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მოთხოვნების შესაძლო დარღვევა

80. მომჩივნებმა საჩივარი წარმოადგინეს კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის, კერძოდ მათი ქონების ჩამორთმევის, გამო. კონვენციის აღნიშნულ დებულებაში ვკითხულობთ:

"ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახდებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად."

A. მისაღებობა

81. სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივრები

კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით არ არის დაუსაბუთებელი. სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს ასევე სხვა საფუძველი, ეს საჩივრები განსახილველად არ იქნას მიღებული. მაშასადამე, საჩივრები განსახილველად მიღებულია.

B. არსებითი განხილვა

1. მთავრობის არგუმენტები

82. მთავრობამ იმთავითვე სთხოვა სასამართლოს, რომ კორუფციის ის მაღალი დონე გაეთვალისწინებინა, რომელსაც 2004 წლის თებერვალში განხორციელებული ანტიკორუფციული ზომების შემოღებამდე ქვეყანა განადგურებული ჰქონდა. კორუფციული გარემო განსაკუთრებით აშკარა იყო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომლის მთავრობის მაღალ თანამდებობის პირს პირველი მომჩივანი წარმოადგენდა საქმისთვის მნიშვნელოვან პერიოდში. მეორე მხრივ, 2006 წლიდან კორუფციის ვარდნის მყარი ტენდენცია გახდა შესამჩნევი, რაც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივების, მათ შორის ქონების ადმინისტრაციული ჩამორთმევის წესის, შემოღების შედეგი იყო. 2009 წელს "საერთაშორისო გამჭვირვალობის" კორუფციის აღქმის ინდექსი საქართველოსთვის გაუმჯობესდა და 2003 წლის 1,8 ქულის მაგიერ 4,1 ქულას მიაღწია, რაც 174 ქვეყნიდან 66-ე ადგილს ნიშნავდა (იხ. ზემოთ პუნქტი 69-73).

83. მთავრობამ აღნიშნა, რომ კორუფციასთან ბრძოლის ყველა ეს დადებითი შედეგი მიღწეული ვერ იქნებოდა, რომ არა ქონების ადმინისტრაციული წესით ჩამორთმევის მექანიზმი, რომელიც მომჩივნების მიმართ იქნა გამოყენებული. მთავრობამ მოკლედ ჩამოაყალიბა ამ სამართლებრივი მექანიზმის ხასიათი. კერძოდ, ადმინისტრაციული ჩამორთმევა არ წამოადგენს სისხლის სამართლის წარმოების ნაწილს და არ არის სასჯელის ზომა, პირიქით, მას აქვს სამოქალაქო სამართლებრივი და კომპენსაციური ხასიათი, რომელიც იმ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისკენ არის მიმართული, რომელიც კერძო პირებს ან სახელმწიფოს მიადგა (იხ. ზემოთ პუნქტები 49-54). მთავრობამ განაცხადა, რომ ასეთი სამართალწარმოება, როდესაც ქონების

ჩამორთმევა გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე ხდება, და როდესაც მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე გადადის, საერთაშორისო ნორმებს მთლიანად შეესაბამება. სინამდვილეში სწორედ ევროპის საბჭო და OECD მოითხოვდა საქართველოსგან, რომ ასეთი ზომები მიეღო (იხ. ზემოთ 66-70 პუნქტები).

84. ვინაიდან მომჩივნის ქონების ჩამორთმევის წარმოება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 და მე-11 პუნქტით გათვალისწინებული სამართალწარმოების წესის მკაცრი დაცვით წარიმართა, მთავრობა განხორციელებულ ქონების ჩამორთმევას მართლზომიერად მიიჩნევდა. აღნიშნული სამართლებრივი დებულებები მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იყო, ხოლო მათი სამართლებრივი შედეგები იყო მკაფიო და განჭვრეტადი როგორც მთლიანად საზოგადოებისთვის, ასევე მომჩივნებისთვის. ამასთან, არც იმის თქმა შეიძლება, რომ 2004 წლის თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უცაბედი, რევოლუციური მეთოდების დანერგვა მოხდა, რადგან აღნიშნულ ცვლილებებამდე შვიდი წლით ადრე უკვე არსებობდა სამართლის ნორმები, რომლებიც კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენის და აღმოფხვრის პრინციპებს, და ასევე კორუფციაში გარეული თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ და დისციპლინარულ პასუხისგებაში მიცემის საჭიროებას ითვალისწინებდა, კერძოდ საუბარია 1997 წლის კანონზე "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" (იხ. ზემოთ 44-48 პუნქტები). მთავრობამ ასევე განაცხადა, მიუთითა რა აგოსი (იხ. ზემოთ 51-ე პუნქტი) და რაიმონდოს საქმეზე (იხ. ზემოთ 29-ე პუნქტი), რომ ქონების ჩამორთმევა ქონების გამოყენების კონტროლის ღონისძიებად უნდა იქნას განხილული.

85. მთავრობა დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ადმინისტრაციული ჩამორთმევის წესის შემოღება საზოგადოების და ასევე საჯარო სამსახურში კორუფციის აღმოფხვრის ინტერესებს ემსახურებოდა. "ნათესავეების" და "დაკავშირებული პირების" თანამონაწილეობასთან დაკავშირებით მთავრობამ განაცხადა, რომ ნორმის გამოყენება ასეთი პირების ქონების წინააღმდეგ ფართოდ გავრცელებული პრაქტიკით იყო განპირობებული, როდესაც კორუმპირებული

თანამდებობის პირები უკანონო ქმედებებიდან მიღებულ შემოსავლებს საკუთარი მეგობრებისა და ნათესავების სახელზე რეგისტრაციის გზით მალავდნენ. ამგვარად კორუმპირებული თანამდებობის პირები ცდილობდნენ თავი აერიდებინათ ფინანსური საჯარო ანგარიშვალდებულებისთვის, რომელშიც საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ 1997 წლის კანონით გათვალისწინებული ქონების დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება იგულისხმება. მაშასადამე, მომჩივნების ქონების ჩამორთმევა გამართლებული იყო სოციალურ-სამართლებრივი და ეკონომიკური მოსაზრებებით, კერძოდ იმით, რომ კორუფცია აღმოფხვრილიყო, და უკანონოდ მოპოვებული ქონება კანონიერ მფლობელს, ხოლო თუ ასეთი არ არსებობდა - სახელმწიფოს, დაბრუნებოდა.

86. რაც შეეხება ჩამორთმევის თანაზომიერებას, მთავრობამ განაცხადა, რომ თანაზომიერების პრინციპი დაცული იყო, რადგან მომჩივნებსა და სახელმწიფოს შორის არსებული სამოქალაქო დავა დამოუკიდებელმა და ობიექტურმა სასამართლომ განიხილა. მაგრამ, სასამართლო განხილვისას მომჩივნებმა ვერ წარმოადგინეს საკმარისი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მათ მაღალი ღირებულების მქონე ქონების შესაძენად საკმარისი ლეგალური შემოსავლები გააჩნდათ. ამასთან მიმართებით მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან ქონების გასაჩივრებული ჩამორთმევა კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული ქონების გამოყენების კონტროლის ნორმას წარმოადგენდა, მოპასუხე სახელმწიფო შესაბამისად სარგებლობდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში პოლიტიკის განმსაზღვრელი გადაწყვეტილებების ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით.

2. მომჩივნების არგუმენტები

87. მომჩივნების არგუმენტები ძირითადად აკრიტიკებდა საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ რეფორმებს, და ბრალს სდებდა მმართველ ძალას მართვის არადემოკრატიული მეთოდების გამოყენებაში და კანონმდებლობის, მათ შორის ქონების ჩამორთმევის შესახებ ნორმების, საკუთარ ინტერესებზე მორგებაში.

88. დავის საგანთან დაკავშირებით მომჩივნები საკუთარ

არგუმენტებში შემოიფარგლნენ ადმინისტრაციული ჩამორთმევის წესის უმთავრესი შემადგენელი ნორმების როგორც ასეთის კრიტიკით და გასაჩივრებით. კერძოდ, მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ მათი ქონების ჩამორთმევა არამართლზომიერი იყო, რადგან ხელისუფლებამ პირველი მომჩივნის ქონება კორუფციული საქმიანობის შედეგად მოპოვებულად გამოაცხადა ისე რომ საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც დაამტკიცებდა მის მონაწილეობას ბრალად წაყენებულ კორუფციულ ქმედებებში, არ იყო დამდგარი. ამასთან დაკავშირებით მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ პირველი მომჩივნის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა მხოლოდ 2004 წლის 25 აგვისტოს წაყენებულ ბრალდებებზე (იხ. ზემოთ მე-9 პუნქტი); სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამ განაპირობა ქონების ადმინისტრაციული ჩამორთმევის წარმოების დაწყება. გამამტყუნებელი განაჩენი კი დადგა მხოლოდ 2010 წლის იანვარში, ანუ ქონების ჩამორთმევის სასამართლო ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 წლის შემდეგ (იხ. ზემოთ 36-ე პარაგრაფი; პირველი მომჩივნის გამამტყუნებელი განაჩენის ასლი არ იქნა წამოდგენილი). მომჩივნები ჩიოდნენ, რომ ქონების ჩამორთმევის წარმოებაში მტკიცების ტვირთი მათზე გადმოვიდა, და აცხადებდნენ, რომ სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად მტკიცების ტვირთი ყოველთვის პროკურორზე მოდის, და პროკურორია ვალდებული დაამტკიცოს ბრალდებულის ბრალი გონივრულ ეჭვს მიღმა.

89. მომჩივნები ასევე ამტკიცებდნენ, რომ მათი ქონების ჩამორთმევა დროებით ღონისძიებას არ წარმოადგენდა, არამედ ამ ჩამორთმევას შეუქცევადი ხასიათი ჰქონდა, და კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული საკუთრების გამოყენების კონტროლის ნორმად კი არა, მათი ქონების ფაქტიურ ექსპროპრიაციად უნდა განხილულიყო. ამტკიცებდნენ რა რომ ჩამორთმევის ზომა მათ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ სასჯელს წარმოადგენდა, მომჩივნები ასევე ჩიოდნენ, რომ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2004 წლის 13 თებერვალს განხორციელებული ცვლილებების უკუქცევითი ძალით გამოყენება მოხდა, რადგან ჩამორთმეული ქონება 1997 წლის ნოემბრიდან 2004 წლის მაისამდე პერიოდში იყო შეძენილი. ამასთანავე მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ ხსენებული საკანონმდებლო ცვლილებები საკმარისად ცხადი არ იყო და მათი გაგება შესაბამის იურიდიულ განათლებას მოითხოვდა.

90. მომჩივნებმა შემდგომი არგუმენტებით ეჭვის ქვეშ დააყენეს

ქვეყნის ეროვნული სასამართლოების მიერ გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ჩამორთმეული ქონების უმეტესი ნაწილი სინამდვილეში პირველი მომჩივნის მეუღლის პირადი დანაზოგით იყო შეძენილი, თუმცა მომჩივნებმა ამის დამადასტურებელი საბუთი ვერ წარმოადგინეს; პირველი მომჩივნის მეუღლე რუსეთის მოქალაქეა, და მისი შორეული ნათესავები ცხოვრობენ და აწარმოებენ ბიზნესს რუსეთში. მომჩივნები ჩიოდნენ, რომ აღნიშნული ფაქტი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო წარმოების სტადიაზე მხედველობაში არ იქნა მიღებული. პირველი, მესამე და მეოთხე მომჩივნების სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით, მომჩივნებმა განმარტეს, რომ პირველი მომჩივანი მის მიმართ შესაძლო სისხლისსამართლებრივი დევნის გამო იმ პერიოდში უკვე საქართველოდან რუსეთში იყო გაქცეული, ხოლო დანარჩენ მომჩივნებს ნდობა საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ უბრალოდ არ ჰქონდათ.

3. სასამართლოს შეფასებები

(a) ზოგადი შენიშვნები

91. მომჩივნების საჩივრის საგანი იყო საკუთრების დაცვის უფლებასთან ქონების ჩამორთმევის იმ ადმინისტრაციული წესის შეუსაბამობა, რომლის საფუძველზეც მათი ქონების ჩამორთმევა და მესამე პირებისთვის ან სახელმწიფოსთვის გადაცემა მოხდა. შესაბამისი ეროვნული საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით (იხ. ზემოთ 49-54 პუნქტი) და საერთაშორისო თანამეგობრობით აღიარებულ შესაბამის სამართლებრივ ინსტიტუტებთან (იხ. ზემოთ 55-64 პუნქტები) მისი შედარებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული წარმოება, მიუხედავად ეროვნულ კანონმდებლობაში ამ წარმოების მიმართ გამოყენებული ტერმინოლოგიისა, ქონების წმინდა ადმინისტრაციული ჩამორთმევა ნამდვილად არ არის, არამედ იგი თანამდებობის პირისთვის სისხლისსამართლებრივი ბრალის წაყენებასთან არის დაკავშირებული, და ამდენად, სანივთო სამოქალაქო სასარჩელო წარმოებაა, რაც თანამდებობის პირის და მისი ახლო გარემოცვის უკანონოდ მოპოვებული ან დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევას ისახავს მიზნად.

(b) კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის გამოსაყენებელი ნორმა

92. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი, რომელიც საკუთრების უფლების დაცვის მატერიალურ საფუძველს იძლევა, სამ განსხვავებულ ნორმას მოიცავს. პირველი ნორმა, რომელიც 1-ლი პარაგრაფის პირველ წინადადებაში არის წარმოდგენილი, ადგენს საკუთრებით სარგებლობის შეუფერხებელი სარგებლობის უფლებას. მეორე ნორმა, რომელიც იმავე პუნქტის მეორე წინადადებაშია წარმოდგენილი, ითვალისწინებს საკუთრების ჩამორთმევას და იმ პირობებს, რომელთა შემთხვევაში საკუთრების ჩამორთმევა შესაძლებელია. მესამე ნორმა, რომელიც მე-2 პუნქტში არის მოცემული, უშვებს, რომ ხელმომწერმა სახელმწიფომ საკუთრების სარგებლობის კონტროლი საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად დააწესოს. მეორე და მესამე ნორმა, რომლებიც საკუთრების შეუფერხებლად სარგებლობის უფლებაში ჩარევას ეხება, წაკითხული უნდა იქნას პირველი ნორმით დადგენილი ზოგადი პრინციპის ჭრილში (იხ. დამატებით შემდეგი სამართლის წყაროები, იმობილიალე საფი იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], No 22774/93, პუნქტი 44, ECHR, 1999-V).

93. სასამართლო იმთავითვე შენიშნავს, რომ მხარეები არ დაობენ, რომ მომჩივნების მოძრავი და უძრავი ქონების ჩამორთმევაზე გაცემული ბრძანება საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლებაში ჩარევას წარმოადგენდა, და შესაბამისად 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი უნდა იქნას გამოყენებული.

94. იმასთან დაკავშირებით, თუ მომჩივნების სიტუაციისთვის სამი ხსნეული ნორმიდან რომელი უნდა იქნეს გამოყენებული, სასამართლო იმეორებს, რომ, თუ ქონების ჩამორთმევის ზომა სისხლისსმართლებრივი გამამტყუნებელი განაჩენისგან დამოუკიდებლად, ცალკე 'სამოქალაქო' (ამ სიტყვის კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით) სასამართლო წარმოების შედეგად იქნა შეფარდებული, რაც მიზნად უკანონოდ მიჩნეული ქონების შეუქცევადად ჩამორთმევას ისახავდა, ხსენებული ზომა მაინც წარმოადგენს საკუთრების სარგებლობის კონტროლის ნორმას 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით (იხ. დამატებით შემდეგი წყაროები, საქმე "ეარ კანადა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1995 წლის 5 მაისი, 34-ე პუნქტი, სერია A No 316-A; საქმე "რიელა და სხვები იტალიის წინააღმდეგ" (განჩინება), No 52439/99, 2001 წლის 04 09; საქმე "ვეიტსი ესტონეთის წინააღმდეგ", 12951/11, პუნქტი 70, 2015 წლის

15 01; და საქმე "სანი რუსეთის წინააღმდეგ", No 31004/02, პუნქტი 25, 2009 წლის 05 02).

95. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმის მიმართ იგივე მიდგომა უნდა იქნას გამოყენებული.

(c) შესაბამისობა კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის 2-ე პარაგრაფთან

96. იმისათვის რომ საკუთრების უფლების ხელყოფა 1-ლი ოქმის 1-ლ მუხლთან შესაბამისობით განხორციელებულად ჩაითვალოს, არსებითი პირობაა, რომ ხელყოფა მართლზომიერი იყოს: მე-2 პუნქტი აღიარებს სახელმწიფოს უფლებას, საკუთრებით სარგებლობა "კანონის" აღსრულებით გააკონტროლოს. ამასთანავე, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან შეიძლება საკუთრების უფლების ნებისმიერი ხელყოფა გამართლებული იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ასეთი ხელყოფა საზოგადოებრივ (საერთო) ინტერესს ემსახურება. ვინაიდან სახელმწიფო ხელისუფლება საკუთარ საზოგადოებასა და მის საჭიროებებს უშუალოდ იცნობს, საერთაშორისო მსაჯულთან შედარებით მას უკეთ ხელეწიფება, გადაწყვიტოს, "საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი" რომელი ზომა იქნება. კონვენციით დაწესებული დაცვის სისტემის მიხედვით, ქვეყნის ხელისუფლების პრეროგატივაა, შეაფასოს, საზოგადოებრივი მნიშვნელობის ისეთი პრობლემა არსებობს თუ არა, რომელიც საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლების ხელყოფას მოითხოვს (იხ. ტერაზი ს.რ.ლ. იტალიის წინააღმდეგ, No 27265/95, პ 85, 2002 წ. 17 ოქტომბერი, და ასევე ვიძორევი პოლონეთის წინააღმდეგ, No 18176/05, პ 59, 2009 წლის 8 დეკემბერი).

97. 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი ასევე ითხოვს, რომ საკუთრების უფლების ნებისმიერი ხელყოფა მის მიზნებთან ობიექტურად თანაზომიერი იყოს. სხვა სიტყვებით, უნდა არსებობდეს "სამართლიანი ბალანსი" საერთო ინტერესსა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას შორის. ეს აუცილებელი ბალანსი არ იქნება მიღწეული, თუ დაინტერესებულ კერძო პირს ან პირებს გადამატებული ტვირთის აღება მოუწევთ (იხ. დამატებით შემდეგი სამართლის წყარო: საბერძნეთის ყოფილი მეფე და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], No 25701/94, პუნქტები 79 და 82, ECHR (აუეს) 2000-XII, და ასევე ჯანი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], No 46720/99, 72203/01 და 72552/01, პუნქტები 81-94, აუეს - ECHR, 2005-VI). კონვენცია უტოვებს სახელმწიფოს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას, თავად განსაზღვროს, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რომელი ზომა გამოიყენოს; და სასამართლო ზოგადად პატივს სცემს

კანონმდებლის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკურ არჩევანს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ზომებს "ობიექტური საფუძველი აშკარად არ გააჩნია" (იხ. საქმე "აზიენდა აგროკოლა სილვერფუნდი ს.ა.ს იტალიის წინააღმდეგ" No 48357/07, 52677/07, 52687/07 და 52701/07, პ. 103, 2014 წლის 24 ივნისი).

(i) ხელყოფის მართლზომიერება

98. სასამართლო მიუთითებს, რომ მომჩივნების ქონების ჩამორთმევა ქვეყნის შიდა სასამართლოს ბრძანებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პარაგრაფით და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 თავის (21-ე მუხლის 4-11 პუნქტები) საფუძველზე, მოხდა, რომლებიც 2004 წლის 13 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებით იქნა შემოღებული. აღნიშნული დებულებების წაკითხვისას სასამართლომ დაადგინა, რომ მათი სიცხადის, სიზუსტისა ან განჭვრეტადობის თვალსაზრისით ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა (იხ. მაგალითისთვის საქმე "ხონიაკინა საქართველოს წინააღმდეგ", No 17767/08, პ 75, 2012 წლის 19 ივნისი, და "გრიფჰოსტი საფრანგეთის წინააღმდეგ", No 28336/02, პ 91, 2009 წლის 26 თებერვალი).

99. მომჩივნების იმ არგუმენტთან დაკავშირებით, რომ ქონების ჩამორთმევის უკუქცევითი ძალით გავრცელება 2004 წლის 13 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე შეძენილ ქონებაზე უკანონო იყო, სასამართლომ იმთავითვე აღნიშნა, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილებები დაუსაბუთებელი ქონებისთვის თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ სულ ახალ ნორმებს არ წარმოადგენდა. ამრიგად, ჯერ კიდევ 1997 წელს, "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონი ითვალისწინებდა კორუფციულ სამართალდარღვევას და თანამდებობის პირების ქონების დეკლარირებას, საკუთარი და გარემოცვის კუთვნილი ქონების წარმოშობის დასაბუთებას, რაც სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციული და დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო, და ამ პასუხისმგებლობის ზომები კანონმდებლობით ცალკე უნდა მოწესრიგებულიყო (იხ. ზემოთ 44-48 პუნქტები). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ 2004 წლის 13 თებერვალს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები უკვე

არსებულ ანტიკორუფციულ სამართლებრივ ნორმებს ახლებურად აწესრიგებდა. ამასთანავე, სასამართლო იმეორებს, რომ 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული "მართლზომიერების" მოთხოვნა ჩვეულებრივ არ უნდა იქნას გაგებული, ისე თითქოს კანონმდებელს საკუთრებით სარგებლობის კონტროლის ან ქონებრივი უფლების სხვაგვარი ხელყოფის საშუალება ახალი უკუქცევითი ძალის მქონე ისეთი ნორმების შემოღებით არ ჰქონდეს, რომლებიც ფაქტობრივ მდგომარეობასა და სამართალურთიერთობას ახლებურად მოაწესრიგებს (იხ. ზემოთ მოყვანილის საქმე "*Azienda Agricola Silverfunghi S.a.s.* და სხვები, პუნქტი 104, 2014 წლის 24 ივნისი; "არასი და სხვები იტალიის წინააღმდეგ", 17972/07, პუნქტი 81, 2012 წლის 14 თებერვალი; "ჰუიტსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (განჩინება), 50131/12, 31-35 პუნქტები, 2015 წლის 13 იანვარი; და ხონიაკიას საქმე, ნახსენები ზემოთ 74-პუნქტში). სასამართლო მიიჩნევს, რომ მიზეზი არ არსებობს, არსებულ საქმეზე განსხვავებული გადაწყვეტილება იქნას მიღებული.

100. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნების ქონების ჩამორთმევა კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ "მართლზომიერების" მოთხოვნასთან სრულ შესაბამისობაში იყო.

(ii) ლეგიტიმური მიზანი

101. გასაჩივრებული ქონების ჩამორთმევის ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული ზომა იმ დიდი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის არსებით ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც საჯარო სამსახურში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას ემსახურებოდა (იხ. ზემოთ 49-ე, 82-ე და 83-ე პუნქტები). შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი რეჟიმის გათვალისწინებით (იხ. ზემოთ 52-54 და 85-ე პუნქტები), ამკარაა, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში კორუფციულ სამართალდარღვევაში ბრალდებული პირების და მათი ოჯახის წევრების, ასევე ახლო ნათესავების საკუთრებაში არსებული უკანონოდ მოპოვებული და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა ორ მიზანს ემსახურებოდა: კომპენსაციურს და პრევენციულს.

102. კომპენსაციური მხარე ნიშნავს, რომ დაზარალებულ მხარეს სამოქალაქო წარმოების წესით თანამდებობის პირის

უსაფუძვლო გამდიდრებამდე არსებული მდგომარეობა აღუდგეს, რაც უკანონოდ მოპოვებული ქონების კანონიერ მესაკუთრისთვის ან, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სახელწიფოსთვის დაბრუნების გზით ხორციელდება. კომპენსაციური შედეგი დადგა ქონებრივი სამართალწარმოების ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც პირველი მომჩივნის უკანონო მფლობელობაში მესამე პირისგან გამოძალვით მიღებული სახლი აღმოჩნდა; მესამე პირს, ფიზიკური პირს, მიეცა შესაძლებლობა, ამ კონკრეტული ქონების ჩამორთმევით სარგებელი ენახა (იხ. ზემოთ 34-ე და 36-ე პუნქტები, ასევე ზემოთ მე-9, მე-13 და მე-16 პუნქტებში მოყვანილი ჭიჭინაძის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება) ქონებრივ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოების მიზანია კორუფციის გზით უსაფუძვლო გამდიდრების აღკვეთა; ეს არის მკაფიო სიგნალი ამჟამად ან მომავალში კორუფციაში ჩართული თანამდებობის პირებისთვის, რომ მათი უკანონო ქმედება, რომელიც შესაძლოა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემით აღრიცხული არ იყოს, მათ ან მათი ოჯახის წევრებს მატერიალურ კეთილდღეობას მაინც ვერ მოუტანს (იხ. შესაბამისად ზემოთ 30-ე პუნქტში ხსენებული რაიმონდოს საქმე; ზემოთ 71-ე პუნქტში ხსენებული ვეიტსის საქმე; და საქმე No 20496/02 "სილიკიენე ლიტვის წინააღმდეგ", 65-ე პუნქტი, 2012 წლის 10 აპრილი).

103. სასამართლო შესაბამისად მიიჩნევს, რომ ქონების ჩამორთმევის ზომა ამ კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადო ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდა, რაც მომჩივნების მიერ საზოგადოების ინტერესების საზიანოდ ამ ქონებით სარგებლობის არდაშვებას უზრუნველყოფდა (შეადარებისთვის იხილეთ ასევე საქმე No 41087/98 52-ე პუნქტი, აუქს 2001-VII).

(iii) ხელყოფის თანაზომიერება

104. მომჩივნის ქონების ჩამორთმევისთვის გამოყენებულ ზომებსა და საჯარო სამსახურში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზემოხსენებულ საზოგადო ინტერესს შორის აუცილებელი ბალანსის დაცვასთან მიმართებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნების განცხადებების შინაარსი ამ სანივთო სამოქალაქო სასარჩელო წარმოების შემადგენელი ორი ელემენტის სამართლიანობის საკითხის დაყენებით შემოიფარგლა. მომჩივნები უმართებულოდ მიიჩნევდნენ იმას,

რომ (I) ეროვნული კანონმდებლობა მათი ქონების როგორც უკანონოდ მოპოვებული ქონების ჩამორთმევას პირველი მომჩივნის კორუფციაში ბრალის დამტკიცებამდე უშვებდა, და იმას, რომ (II) შესაბამის სასამართლო წარმოებაზე მტკიცების ტვირთი მათზე გადმოვიდა.

ა) იყო თუ არა ქონების ჩამორთმევის წარმოება უკანონო

105. მხედველობაში იღებს რა საერთაშორისო სამართლებრივ მექანიზმებს, როგორც არის 2005 წლის გაეროს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია, ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალურ ქმედებათა ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები და დანაშაულებრივი შემოსავლების ჩამორთმევის შესახებ ევროპის საბჭოს 1990 და 2005 წლის ორი კონვენცია (ETS 141 და ETS 198) (იხ. ზემოთ 55-65 პუნქტები), სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა საერთო ევროპული და ასევე საყოველთაო სამართლის ნორმები, რომლებიც ქონების ჩამორთმევას სისხლისსამართლებრივი გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის გარეშე ისეთ საქმეებზე ითვალისწინებს, რომლებიც დაკავშირებულია მძიმე დანაშაულებთან, - როგორც არის კორუფცია, ფულის გათეთრება, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულები და სხვა. მეორე რიგში, ეს ნორმები ითვალისწინებს უკანონოდ მიჩნეული ქონების კანონიერი წარმოშობის მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე გადატანას ქონების ჩამორთმევის არასისხლისსამართლებრივ წარმოებაში, მათ შორის სანივთო სამოქალაქო სასარჩელო წარმოებაში. მესამე რიგში, ქონების ჩამორთმევის ზომები შეიძლება მიმართული იყოს არა მხოლოდ დანაშაულიდან პირდაპირ მიღებულ შემოსავლებზე, არამედ ისეთი ქონების მიმართაც, როგორცაა სხვა შემოსავლები და არაპირდაპირი სარგებელი, რომელიც დანაშაულიდან პირდაპირ მიღებული შემოსავლების გარდაქმნის, გაცვლის ან სხვა შესაძლო კანონიერ ქონებასთან შეერთების გზით არის მიღებული. და ბოლოს, ჩამორთმევის ზომა შესაძლოა, არამხოლოდ იმ პირის მიმართ იყოს გამოყენებული, რომელიც უშუალოდ დანაშაულში არის ეჭვმიტანილი, არამედ ნებისმიერი ისეთი მესამე პირის მიმართ, რომელსაც ამ ქონებაზე საკუთრების უფლება აუცილებელი კეთილსინდისიერი მფლობელის პირობის გარეშე გააჩნია, რაც ამ ქონების მოხვეჭის საქმეში სამართალდამრღვევის არამართლზომიერი როლის შენიღბვას ისახავს მიზნად.

106. უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებული მიმიკე დანაშაულთან ბრძოლის სწორედ ამ საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების საფუძველზე ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL), კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ანტიკორუფციული ქსელი (OECD-ACN for Transition Economies), ხედავდა რა ქვეყანაში ყველა დონეზე არსებულ კორუფციის საგანგაშო მაჩვენებლებს, გამუდმებით მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას, ისეთი საკანონმდებლო ზომები მიეღო, რომლებიც შემოსავლების, მათ შორის ქონების ღირებულების ეკვივალენტის გადახდევინებას უზრუნველყოფდა, და ეს ამოღება სავალდებულოდ ყველა კორუფციული ან კორუფციასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის მიმართ განხორციელებულიყო, და ქონების ამოღება მესამე პირებიდანაც ყოფილიყო შესაძლებელი. სასამართლო შენიშნავს, რომ ხელისუფლებამ მიღებული რეკომენდაციები შეასრულა, როდესაც 2004 წლის 13 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო. ჯერ კიდევ 2006 წლის ივნისში და შემდეგ 2013 წლის სექტემბერში ზემოხსნებულმა საერთაშორისო ექსპერტებმა მოუწონეს საქართველოს ხელისუფლებას მათი რჩევების უმეტესწილად გათვალისწინება. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სანივთო სამოქალაქო სასარჩელო წარმოების, ქონების ჩამორთმევის სისხლის სამართლის წარმოებასთან დამატებით, შემოღებით საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებთან, და კერძოდ ევროპის საბჭოს შესაბამის კონვენციებთან; თუმცა ამავედროულად ექსპერტებმა გააფრთხილეს საქართველოს ხელისუფლება ამ სამართალწარმოების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, და მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას, პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობა დაეცვა. (იხ. ზემოთ 66-73-ე პუნქტები). და მართლაც, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხსენებული საკანონმდებლო ცვლილებების წყალობით საქართველომ კორუფციასთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვნად წინ წაიწია. (იხ. ზემოთ 73-ე პუნქტი).

107. სასამართლომ გაიხსენა ის საქმეები, რომლებშიც მას,

ქონების ჩამორთმევის წარმოების 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებულ მძიმე დანაშაულებზე ქონების ჩამორთმევის ანალოგიური წარმოების შემოწმება მოუწია. იმ ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ნარკოტიკებით ვაჭრობის ან სხვა მაფიოზური ან კრიმინალური ორგანიზაციის არალეგალური საქმიანობის შედეგად არის მოპოვებული, სასამართლო თვლის, რომ ქონების ჩამორთმევა იმ შემთხვევაშიც თანაზომიერი ზომია, როდესაც ბრალდებული პირის გამამტყუნებელი განაჩენი არ არის დამდგარი. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ქვეყნის შიდა ხელისუფლებამ ქონების ჩამორთმევის შესახებ ბრძანება იმ მტკიცებულებათა გადაწონვის პრინციპით მართებულად გასცა, რომელიც მიუთითებდა, რომ მოპასუხეთა კანონიერი შემოსავლები ხსენებული ქონების შესაძენად საკმარისი ვერ იქნებოდა. და მართლაც, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სანივთო სამოქალაქო სასარჩელო წარმოების შედეგად ქონების ჩამორთმევის ბრძანება დგებოდა, რაც მძიმე დანაშაულებთან დაკავშირებულ შემოსავლებს ეხებოდა, სასამართლო არ ითხოვდა, რომ საჭირო მტკიცებულებებს არსებული ქონების უკანონო წარმოშობის "გონივრულ ეჭვს მიღმა" სტანდარტი დაეკმაყოფილა. ამის სანაცვლოდ, უკანონო წარმოშობის ვარაუდის მაღალი ხარისხით მტკიცება, რასაც მესაკუთრის მხრიდან საპირისპიროს მტკიცების შეუძლებლობა ერთვის, 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული თანაზომიერების პრინციპის მიზნებისთვის საკმარის საფუძვლად იქნა მიჩნეული. კონვენცია ქვეყნის ხელისუფლებას ანიჭებს თავისუფლებას, ქონების ჩამორთმევის ნორმა არა მარტო კორუფციაში უშუალოდ ბრალდებული პირების მიმართ, არამედ მათი ოჯახის იმ წევრების და სხვა ახლო ნათესავების მიმართ გამოიყენოს, რომლებიც ეჭვმიტანილი დამნაშავის არაფორმალური დავალებით უკანონოდ მოპოვებულ ქონებას ფლობენ და მართავენ, და რომლებსაც აუცილებელი კეთილსინდისიერი მფლობელის სტატუსი არ გააჩნიათ (იხ. ზემოთ 30-ე პარაგრაფში მოყვანილი რაიმონდოს საქმე; საქმე "არკური და სხვები იტალიის წინააღმდეგ (განჩინება)", 52024/99, ECHR 2001-VII; საქმე "მორაბიტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ (განჩინება)", 58572/00, ECHR 2005 წლის 07 06; საქმე "ბატლერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (განჩინება)", 56054/00, 2004 წლის 10 02; და საქმე "საკოკია ავსტრიის წინააღმდეგ", 69917/01, 87-91-ე

პარაგრაფები, 2008 წ. 18 დეკემბერი; შედარებისთვის იხ. ასევე ამასწინანდელი, ზევით 60-70-ე პუნქტებში სილიჩკინეს საქმე, როდესაც ქონების ჩამორთმევის ნორმა გამოყენებულ იქნა კორუმპირებული თანამდებობის პირის ქვრივის მიმართ).

108. კანონის ანალოგიის პრინციპის გამოყენებით, ზემოთქმული მსჯელობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ სანივთო სამოქალაქო სასარჩელო წარმოება, რომელიც წარმართა სსსკ-ის 37-ე მუხლის 1 პუნქტის და ასკ-ის 21-ე მუხლის 4-11 პუნქტების შესაბამისად, არც უკანონოდ, და არც 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის თანაზომიერების პრინციპის დამრღვევად უნდა ჩაითვალოს. ამასთან მიმართებით, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას, რომ სანივთო სამოქალაქო სასარჩელო წარმოება უკანონო არ იყო (იხ. ზევით 37-43 პუნქტები). და მართლაც, ობიექტურად მოსალოდნელი იყო, რომ სამივე მომჩივანი, - რომელთაგან ერთი ცალკე სისხლისსმართლებრივი წარმოებით კორუფციაში პირდაპირ იქნა ბრალდებული, ხოლო დანარჩენი ორი, როგორც ბრალდებულის ოჯახის წევრები, დანაშაულიდან მიღებული შემოსავლებით უკანონოდ სარგებლობდნენ, მათზე დაკისრებული მტკიცების ტვირთით ქონების უკანონო წარმოშობის შესახებ პროკურორის დასაბუთებული ეჭვის გაქარწყლებას შეეცდებოდა. ამასთანავე, ქონების ჩამორთმევის აღნიშნული სამოქალაქო საქმის წარმოება ცალსახად შეადგენდა საჯარო სამსახურში კორუფციის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის პოლიტიკის ნაწილს, და სასამართლო იმეორებს, რომ ასეთი პოლიტიკის განხორციელებისას სახელმწიფოს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება ეძლევა, რათა გადაწყვიტოს, საკუთრებით სარგებლობის კონტროლის პოლიტიკის განხორციელების ეფექტურ საშუალებას, როგორც დანაშაულიდან ყველა ფორმის შემოსავლების ჩამორთმევა არის, რომელი მექანიზმი წარმოადგენს (მაგალითისთვის იხილეთ საქმე "ილდირიმი იტალიის წინააღმდეგ" (განჩინება), 38602/02, ECHR 2003-IV, და ასევე ზევით მოყვანილი ბატლერის საქმე).

ბ) მოქმედებდნენ თუ არა შიდა სასამართლოები არამართლზომიერად

109. ზემოთ მოყვანილი დასკვნების მიუხედავად,

სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა დადგინდეს, ქონების ჩამორთმევის სამოქალაქო საქმის წარმოებისას მომჩივნებს საკუთარი არგუმენტების სასამართლოს წინაშე წარმოდგენის ობიექტური შესაძლებლობა მიეცათ თუ არა (იხილეთ, ზევით მოყვანილი 72-ე და 74-ე პარაგრაფები და საქმე "ჯოკელა ფინლანდიის წინააღმდეგ", 28856/95, პუნქტი 45, ECHR 2002-IV).

110. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ აჭარის უმაღლესმა სასამართლომ პროკურორის სარჩელი და შესაბამისი დოკუმენტები მომჩივნებს გადაუგზავნა, რათა შესაგებლები წარმოედგინათ და ზეპირ მოსმენაში მონაწილეობა მიეღოთ (შედარებისთვის იხილეთ ზემოთ 48-ე პარაგრაფში მოყვანილი სილიჩკინეს საქმე, და ზემოთ 58-ე პარაგრაფში მოყვანილი ვეიტსის საქმე). სასამართლო უწყებები ორჯერ ჩაბარდა მომჩივნების საფოსტო მისამართებზე, და ერთხელ ქვეყნის შიდა სასამართლომ გადადო საქმის განხილვა, თუმცა პირველმა და მეოთხე მომჩივნებმა საკუთარი პროცესუალური უფლებები არ გამოიყენეს და სასამართლოზე არ გამოცხადდნენ (იხ. ზემოთ 18-ე, 19-ე, 24-ე და 25-ე პუნქტები). პირველი მომჩივნის განმარტება, რომ იგი სისხლისსამართლებრივ გამოძიებას (იხ. ზევით 90-ე პარაგრაფი) გაექცა, არგუმენტად არ გამოდგება, რადგან მას და მეოთხე მომჩივანს შეეძლოთ, პირველი ინსტანციის სასამართლოში საკუთარი ინტერესების დასაცავად ადვოკატები დაენიშნათ, როგორც ეს მათ საკასაციო სასამართლოს დროს გააკეთეს (შედარებისთვის იხილეთ საქმე "ბონჯორნო და სხვები იტალიის წინააღმდეგ, 4514/07, 49-პარაგრაფი, 2010 წლის 5 იანვარი). ასეთ ვითარებაში სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველმა და მეოთხე მომჩივნებმა უბრალოდ არჩიეს, საკუთარი პროცესუალური უფლებები არ გამოიყენათ და პირველი ინსტანციის სასამართლოში არგუმენტები არ წარედგინათ, რასაც შედეგად პროკურორის სასარჩელო მოთხოვნის გაქარწყლების შეუძლებლობა მოჰყვა (იხ. საქმე "სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ" (2) [დიდი პალატა], 10249/03, 135-ე პუნქტი, 2009 წლის 17 სექტემბერი) მეორე მომჩივანთან დაკავშირებით, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში მის მიერ შერჩეული ადვოკატით იყო წარმოდგენილი, აღსანიშნავია, რომ ქონების კანონიერ წარმოშობასთან დაკავშირებული მისი ზოგიერთი არგუმენტი და მტკიცებულება სასამართლოს მიერ იქნა გაზიარებული და ჩამოსართმევი ქონების სიიდან მათი ამოღება მოხდა.

111. საქმის საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო

წესით განხილვისას სამივე მომჩივანმა გამოიყენა შესაძლებლობა, საკუთარი არგუმენტები, რომლებიც გადაწყვეტილების კანონის დარღვევით გამოტანაზე დაობდა, როგორც წერილობით მასალებში ასევე ზეპირ განხილვაზე წარმოედგინათ. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოზე, საქმის წარმოება აქაც შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარიმართა. მომჩივნებს სასამართლოს წინაშე არ განუცხადებიათ, რომ საქმის საკასაციო ინსტანციაზე განხილვისას პროცესუალურ უსამართლობას ჰქონდა ადგილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მომჩივნებმა მხოლოდ საქართველოს სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევის მართებულობა გაასაჩივრეს (იხ. ზემოთ 90-ე პარაგრაფი). მაგრამ, სასამართლო იმეორებს, რომ ქვეყნის შიდა სასამართლოს მიერ გამოკვლეული ფაქტების საკუთარი შეფასებით ჩანაცვლება მის კომპეტენციაში არ შედის, რადგან საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა ქვეყნის შიდა სასამართლოს უფრო ხელეწიფება (იხ. საქმე "გრაისონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ", No19955 და 15085/06, 48-ე პარაგრაფი, 2008 წლის 23 09).

112. მომჩივნების ის არგუმენტი, რომ ქვეყნის შიდა სასამართლომ ქონების ჩამორთმევის ბრძანება პროკურორის მიერ წარმოდგენილი, მხოლოდ დაუსაბუთებელი ეჭვის საფუძველზე გასცა, სასამართლომ სცნო არასაკმარისად დასაბუთებულად. ქვეყნის შიდა სასამართლომ შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით სათანადოდ განიხილა პროკურორის სარჩელი, რომელიც მრავალი თანმხლები დოკუმენტით იყო გამყარებული (იხ. ზემოთ მე-12 პუნქტი). ამ მტკიცებულებებმა დაარწმუნა ქვეყნის შიდა სასამართლო, რომ გოგითიძეების ოჯახის მიერ მოპოვებული მნიშვნელოვანი ქონება გოგითიძის მხოლოდ ოფიციალური ხელფასით შემენილი ვერ იქნებოდა, და იმავდროულად არც დანარჩენ მომჩივნებს გააჩნდათ შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროები. მომჩივნების ფინანსური მდგომარეობის საგულდაგულო შემოწმებით დადასტურდა, რომ მათ შემოსავლებსა და სიმდიდრეს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობდა, და ეს განსხვავება, რომელიც დოკუმენტურად კარგად დასაბუთებული იყო, ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველი გახდა.

113. ამრიგად სასამართლო მიიჩნევს, რომ სანივთო სამოქალაქო სასარჩელო წარმოებაში მომჩივნების არგუმენტების საპროცესო დაბრკოლებას ადგილი არ ჰქონია, და ქვეყნის შიდა სასამართლოების დასკვნები ასევე არ იყო უმართებულო

(შედარებისთვის იხ. შესაბამისად საქმე "დენისოვა და მოისეივა რუსეთი წინააღმდეგ", 16903/03, 59-64 პუნქტები, 2010 წლის 01 04).

(d) დასკვნა

114. ზემოთქმულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო სამსახურში კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის განხორციელების საქმეში საქართველოს მთავრობას მექანიზმების არჩევის ფართო დისკრეციული უფლებამოსილება გააჩნია, და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის შიდა სასამართლოებმა მომჩივნებს საკუთარი უფლებების დასაცავად შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე ობიექტური შესაძლებლობა მისცეს, სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნის ქონების ჩამორთმევის სანივთო სამოქალაქო სასარჩელო წარმოება საერთაშორისო ნორმებს შეესაბამებოდა, და თანაზომიერების აუცილებელ ბალანსს არ არღვევდა.

115. მაშასადამე, ადგილი არ ჰქონია 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას.

III. კონვენციის მე-6 უხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მოთხოვნების შესაძლო დარღვევა

116. სამივე მომჩივანი ჩიოდა, რომ ქონების ჩამორთმევის წარმოება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევით წარიმართა. პირველი მომჩივანი ჩიოდა, რომ ქონების ჩამორთმევა, რომელიც განხორციელდა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალის დამამტკიცებელი გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპის დარღვევას წარმოადგენდა.

117. კონვენციის შესაბამის მუხლში ვკითხულობთ:

მუხლი 6.

"1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის

მთარგმნელი: ნიკოლოზ ჯაში

საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ...

2. ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა კანონის შესაბამისად არ დამტკიცდება".

A. მისაღებობა

1. მხარეთა არგუმენტები

118. მთავრობამ სადავო გახადა მომჩივანთა არგუმენტაცია. თავდაპირველად მთავრობამ განაცხადა, რომ ქონების ადმინისტრაციული წესით ჩამორთმევა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ "სამოქალაქო" დავას წარმოადგენდა. დავის განხილვისას ქვეყნის შიდა სასამართლოებმა არაერთხელ მისცეს შესაძლებლობა პირველ, მეორე და მეოთხე მომჩივნებს, წერილობითი და ზეპირი არგუმენტები წარმოედგინათ. მაგრამ, მხოლოდ ერთმა, კერძოდ მეორე მომჩივანმა გამოიყენა თავისი პროცესუალური უფლება, ხოლო დანარჩენმა მომჩივნებმა ქვეყნის შიდა სასამართლოს ორი უწყება უგულვებელჰყვეს. რაც შეეხება მეორე მომჩივანს, ქვეყნის შიდა სასამართლომ სათანადო ყურადღება დაუთმო მის არგუმენტებს, და სასამართლოს საგულდაგულო განხილვის შემდეგ მისი ქონების გარკვეული ნაწილი ჩამოსართმევი ქონების ნუსხიდან იქნა ამოღებული. ზოგადად, სასამართლო განხილვა, როდესაც მტკიცების ტვირთი მოპასუხეს აწევს, სამართლიანია და სასამართლოს გადაწყვეტილებები საკმარისად არის მოტივირებული. პირველი მომჩივნის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის პრეტენზიასთან დაკავშირებით, მთავრობამ განაცხადა, რომ ზემოხსენებული დებულება ქონების ჩამორთმევის ადმინისტრაციული წარმოების მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული, რადგან ეს ადმინისტრაციული წესი მომჩივნის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალის დადგენას არ მოიცავს. საერთო ჯამში, მთავრობა მიიჩნევდა, რომ მომჩივნების პრეტენზია მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების დარღვევის შესახებ უსაფუძვლო იყო.

119. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ქონების

ადმინისტრაციული ჩამორთმევის წარმოებით კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მხარეთა თანასწორობის პრინციპი დაირღვა, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა პირველი და მეოთხე მომჩივნების დაუსწრებლად მოხდა. გამოუცხადებლობის მიზეზებად პირველმა მომჩივანმა დაასახელა სისხლისსამართლებრივი დევნიდან გაქცევის საჭიროება, ხოლო მეოთხე მომჩივანმა ის, რომ იგი ზოგადად ქართულ მართლმსაჯულებას არ ენდობოდა. მომჩივნების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები არ იძლეოდა განმარტებას იმაზე, სასამართლო განხილვას მათი ადვოკატები რატომ არ დაესწრნენ. მომჩივნები ასევე აპროტესტებდნენ სამართალწარმოების შედეგს, და ბრალს სდებდნენ ქვეყნის შიდა სასამართლოს საქმის გარემოებების არასწორ შეფასებაში. კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევასთან დაკავშირებით, პირველი მომჩივანი ამტკიცებდა, რომ კორუფციაში მის მიმართ წაყენებული ბრალდების დამტკიცებამდე მისი ქონების კანონიერი წარმოშობის დამტკიცების მოთხოვნით ხელისუფლებამ მისი უდანაშაულობის პრეზუმცია დაარღვია.

2. სასამართლოს შეფასებები

(a) მომჩივნების პრეტენზია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად

120. მომჩივნების განცხადებების შესწავლის შედეგად, სასამართლო შენიშნავს, რომ გაურკვეველია, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის რომელი დებულების ("სამოქალაქო" თუ "სისხლისსამართლებრივი") მოთხოვნის თანახმად არის მათი პრეტენზია დაყენებული.

121. როგორც არ უნდა იყოს, სასამართლო იმეორებს კარგად დამკვიდრებულ პრეცედენტულ სამართალს, რომელიც ადგენს, რომ ქონების ჩამორთმევის სანივთო სამოქალაქო სასარჩელო წარმოება, - რომელსაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი, და რომელიც სისხლისსამართლებრივი მსჯავრის ან სასჯელის შეფარდების წარმოებიდან არ გამომდინარეობს, და ამით არა სასჯელს, არამედ 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით დადგენილ საკუთრების სარგებლობის კონტროლს წარმოადგენს, - კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტში მოცემული "სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის

გამორკვევად" არ შეიძლება ჩაითვალოს და ამ უკანასკნელი დებულების "სამოქალაქო" ნაწილის მხრივ უნდა იქნას განხილული (იხილეთ ასევე შემდეგი წყაროები: ზემოთ მოყვანილი არკურის და სხვების საქმე; ზემოთ მოყვანილი ბატლერის საქმე; ზემოთ მოყვანილი ვეიტსის საქმე, 58-ე პარაგრაფი; და ზემოთ მოყვანილი სილიჩვიენეს საქმე, 45-ე და 56-ე პარაგრაფები; შეადარეთ მაგალითისთვის ზემოთ 39-ე პუნქტში მოყვანილი ფილიპსის საქმე).

122. რაც შეეხება პირველ და მეოთხე მომჩივნების პრეტენზიას, რომ სასამართლო წარმოება პირველ ინსტანციაში მათ დაუსწრებლად წარიმართა, სასამართლო იმეორებს მის წინა დასკვნას, რომ თავად მომჩივნებმა არჩიეს, საკუთარი პროცესუალური უფლების გამოყენებაზე ეთქვათ უარი (იხ. ზემოთ 110-ე პარაგრაფი). რაც შეეხება მომჩივნების არგუმენტს, რომ მტკიცების ტვირთი მათზე არ უნდა გადმოსულიყო, სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის "სამოქალაქო" დებულების მიზნებისთვის ქონების ჩამორთმევის შესახებ სამოქალაქო წარმოებაში მტკიცების ტვირთის შებრუნება უმართებულო არ არის მას შემდეგ, რაც პროკურორი დასაბუთებულ სარჩელს წარადგენს (იხილეთ ასევე შემდეგი წყაროები: ზემოთ 37-49 პარაგრაფებში მოყვანილი გრაისონისა და ბარნჰამის საქმეები, და ასევე ზემოთ 103-ე და 104-ე პარაგრაფებში მოყვანილი სასამართლოს დასკვნები). ქვეყნის ეროვნული სასამართლოების მიერ გამოკვლეულ ფაქტებთან დაკავშირებული დასკვნების საექვოობასთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ მეოთხე ინსტანციის სასამართლო ვერ გახდება და აღნიშნულ დასკვნებს ეჭვქვეშ ვერ დააყენებს (მაგალითისთვის იხ. საქმე "ბოჩანი უკრაინის წინააღმდეგ" (2) [დიდი პალატა], 22251/08, 61-ე პარაგრაფი, 2015 წლის 5 თებერვალი).

123. შედეგად, საჩივრის ეს ნაწილი არის აშკარად დაუსაბუთებელი და უარყოფილი უნდა იქნას კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(ა) და მე-4 პარაგრაფებიდან გამომდინარე.

(b) მომჩივნების პრეტენზია კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

124. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენებადობა განხილული ორი ასპექტით უნდა იქნას: ერთი, ვიწრო გაგებით, რაც სისხლის სამართლის

სასამართლოს განხილვას, როგორც ასეთს შეეხება, და მეორე, უფრო ფართო გაგებით, რომელიც სასამართლო განხილვის სფეროს რიგ გარემოებებში სცდება (მაგალითისთვის იხ. საქმე "ვანიაკი ხორვატიის წინააღმდეგ" , 29889/04, 67-ე პუნქტი, 2010 წლის 14 01).

125. ამასთან დაკავშირებით სასამართლო შენიშნავს, რომ აღნიშნულ საქმეზე ქონების ჩამორთმევის წარმოება პირველი მომჩივნის სისხლისსამართლებრივი დევნის შემდეგ არ დაწყებულა, არამედ ეს წარმოება სისხლისსამართლებრივ დევნას წინ უსწრებდა. მაშასადამე, კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე, უფრო ფართო გაგება, რომელიც გულისხმობს, რომ უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპი სისხლის სამართლის წარმოების დასრულების შემდეგ, რომელსაც არ მოჰყოლია გამამტყუნებელი განაჩენი (ანუ მაგ.: გამამართლებელი განაჩენი, სისხლის სამართლის წარმოების შეწყვეტა ხანდაზმულობის გამო, ბრალდებული პირის გარდაცვალება და სხვა შემთხვევები) არ უნდა დაირღვეს, ამ საქმესთან მიმართებით არ არის რელევანტური (იხ. საქმე "ალენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა], 25424/09, 103-ე და 104-ე პარაგრაფები, ECHR 2013; საქმე "გეერინგსი ნიდერლანდების წინააღმდეგ" 30810, 43-50-ე პარაგრაფები, 2007 წლის 01 03; ზემოთ 35-ე პარაგრაფში მოყვანილი ფილიპსის საქმე; და საქმე "ლაგარდერე საფრანგეთის წინააღმდეგ" 18851/07, 58-64-ე პუნქტები, 2012 წლის 12 04).

126. რაც შეეხება მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის ვიწრო გაგებას, რომელიც ბრალდებული პირის იმ უფლებას გულისხმობს, მის მიმართ აღძრული სისხლისსამართლებრივი წარმოების განმავლობაში უდანაშაულოდ ითვლებოდეს (იხ. ზემოთ 93-ე პუნქტში მოყვანილი ალენის საქმე, და ამ პარაგრაფში გაკეთებული მითითებები სხვა საქმეებზე), სასამართლო იმეორებს მის დამკვიდრებულ პრეცედენტულ სამართალს, რომ ქონების ჩამორთმევა, რომელიც სანივთო სამოქალაქო სასარჩელო წარმოების შედეგი გახდა, სისხლისსამართლებრივი ბრალდების დამტკიცების გარეშე, არა დამსჯელ, არამედ პრევენციული ხასიათის ზომას წამოადგენს, და ამდენად ზემოხსენებული დებულების მის მიმართ გამოყენება არ შეიძლება. (იხილეთ ასევე შემდეგი წყაროები: ზომოთ მოყვანილი ბატლერის საქმე; ზემოთ 65-ე პუნქტში მოყვანილი აგოსის საქმე; ზემოთ მოყვანილი რიელას საქმე; და ზემოთ მოყვანილი არკურის საქმე).

127. ამდენად, პირველი მომჩივნის პრეტენზია არ შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის საგანს 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის მნიშვნელობით და უკუგდებულ უნდა იქნას 35-ე მუხლის მე-4 პარაგრაფიდან გამომდინარე.

VI. კონვენციის მოთხოვნების სხვა შესაძლო დარღვევები

128. მომჩივნებმა მოიყვანეს კონვენციის მე-7 და მე-14 მუხლები, და გაიმეორეს თავიანთი პრეტენზია შიდასახელმწიფოებრივ წარმოების შედეგის მხრივ.

129. საქმეზე არსებული მასალების გათვალისწინებით, და იმდენად რამდენადაც ამ პრეტენზიების განხილვა სასამართლოს კომპეტენციაშია, სასამართლო მიუთითებს რა თავის მიერ გაკეთებულ დასკვნებს, (იხ. ზემოთ 121-ე, 123-ე, და 127-ე პარაგრაფები) მიიჩნევს, რომ საქმის მასალებიდან კონვენციითა და მისი ოქმებით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა არ იკვეთება. გამომდინარე აქედან, საჩივარი ამ ნაწილში უნდა იქნას უარყოფილი დაუსაბუთებლობის გამო კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფების შესაბამისად.

ამ მიზნით სასამართლო ერთსულოვნად

1. აცხადებს, რომ პირველი, მეორე და მეოთხე მომჩივნების პრეტენზია 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად მისაღებია, ხოლო საჩივარი დანარჩენ ნაწილში მიუღებელია;
2. ადგენს, რომ 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მოთხოვნების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით ეცნობა მხარეებს 2015 წლის 12 მაისს სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პარაგრაფების შესაბამისად.

ფრანსუა ელენ-პასო
განმწესრიგებელი

პაივი ჰირველა
თავმჯდომარე